Portrait of Gumilev. Painter Olga Della-Vos Kardovskaya. 1909



გიორგი გურჯიევი
Георгий Гурджиев
George Gurdjieff

1872-1949

თეოსოფი, აღმოსავლური ოკულტიზმის მიმდევარი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოლოგისტური მოძღვრების ავტორი. წარმოშობით იონიელი ბერძენი. მისი წინაპრები კონსტანტინოპოლში ცხოვრობდნენ, შემდეგ საქართველოში დასახლდნენ (თუ სად – ამის შესახებ თავად გ. გურჯიევი არ მიუთითებს). გ. გურჯიევის მამა ივანე გურჯიევი, მეტსახელად ადაში, ცნობილი აშუღი, გამოეყო თავის ძმებს და სომხეთში, ქ. ალექსანდროპოლში (ახლანდ. გიუმრი) გადავიდა, სადაც დაიბადა გიორგი გურჯიევი. გიორგიმ ბავშვობა ალექსანდროპოლში, ყარსში, შემდეგ კი თბილისში გაატარა. მშობლები სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ, ის კი ფილოსოფიურმა ლიტერატურამ გაიტაცა, რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი ცხოვრება. იმ დროს თბილისში შეიძლებოდა სხვადასხვა ახალგამოსული ლიტერატურის შოვნა. ამიტომ, როდესაც წამოიზარდა, ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. შეისწავლა ქართული ენა, როგორც ჩანს, დიდუბეში ცხოვრობდა. საქართველოდან სრულიად ახალგაზრდა გაემგზავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, სწავლობდა აზიურ კულტურას, გატაცებული იყო ოკულტიზმისა და სპირიტიზმის საკითხებით, ხანგრძლივად ცხოვრობდა ტიბეტში, სადაც, გადმოცემით, დაუახლოვდა დალაი-ლამას და ტიბეტ-ინგლისის ომის წლებში (XX ს-ის დასაწყისი) იყო მისი მრჩევ-

Теософ, приверженец восточного оккультизма, автор христианского мистико-антропологического учения. По происхождению грек из Ионии. Его предки, жители Константинополя, позднее обосновались в Грузии (Гурджиев не указывает, где именно). Его отец Иван Гурджиев, по прозвищу Адаш, знаменитый в свое время ашуг, отделившись от своих братьев, переехал жить в Армению, в г. Александрополе (Гюмри), где и родился Г. Гурджиев. Детство Георгий провел в Александрополе, Карсе, а затем – в Тбилиси. Родители готовили его к церковной деятельности, однако Г. Гурджиев увлекся чтением философской литературы, что и определило его дальнейшую жизнь. В то время в Тбилиси можно было приобрести новую и разнородную литературу. Поэтому, когда подрос, часто приезжал в Тбилиси, изучил грузинский язык. Жил, по-видимому, в Дидубе – одном из районов города. Совсем молодой, из Грузии отправился путешествовать по странам Азии и Африки, изучал культуру Азии, увлекся вопросами оккультизма и спиритизма. Жил в Тибете, где, по некоторым сведениями, имел близкие контакты с Далай-ламой вплоть до того, что в годы войны между Тибетом и Англией (начало XX в.) был его советником. Здесь же приобщился он к жизни йогов.

В январе 1919 г. Г. Гурджиев с супругой Еленой Островской, композитором Петербургской оперы Томасом

Theosophist, adept of Oriental occultism, author of Christian mystical-anthropological doctrine. By descent, he was a Greek of Ionian extraction. His ancestors lived in Constantinople and later on, they settled in Georgia. G. Gurdjieff's father – Ivan Gurdjieff – renowned ashug (folk poet and singer) separated from his brothers and moved to live in Alexandropol (present-day Gyumri), Armenia, where George Gurdjieff was born. He spent his childhood years in Alexandropol, later – in Kars, then – in Tbilisi. His parents were preparing him for a spiritual carrier, however, he was carried away by philosophical literature. At that time, Tbilisi had the greatest and newest choice of books throughout the entire South Caucasus. When he grew up, he would frequently visit Tbilisi, where, evidently, he lived in the Didube district. He learned Georgian language there. He was in his green years, when he left Georgia for Asian and African countries, where he became acquainted with Asian culture, occultism and spiritism. He spent a long while in Tibet, where, as the story goes, he became close friends with Dalai Lama and served as his counselor during the Tibet-England War (at the turn of the 20th century).

In January of 1919, G. Gurdjieff, his wife Elena Ostrovskaya, accompanied by composer of Petersburg Opera Thomas de Hartman with his spouse and Gurdjieff's several disciples arrived

ელი. აქვე შეისწავლა მან იოგების ცხოვრება.

1919 წლის იანვარში გ. გურჯიევი, მისი მეუღლე ელენე ოსტროვსკაია, პეტერბურგის ოპერის კომპოზიტორი თომას დე ჰარტმანი მეუღლითურთ და რამდენიმე მოწაფე თბილისში ჩამოვიდნენ. თბილისის საზოგადოება ინტერესით შეხვდა ახალჩამოსულთ. გ. გურჯიევი დაუახლოვდა გრიგოლ რობაქიძეს, მხატვარ ალექსანდრე ზალცმანს, მის მეუღლეს – ქორეოგრაფ ჟანა-მატინიონ ზალცმანს. მადამ ზალცმანის დაარსებულ ჟაკ დალკროზის სისტემის თბილისის რიტმული ტანვარჯიშის სკოლაში სრულდებოდა გ. გურჯიევის „წმინდა ცეკვები“ და „წმინდა გიმნასტიკა“.

1919 წლის შემოდგომაზე გ. გურჯიევმა თბილისში გახსნა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მას ნიკოლოზის ქ. №22-ში (ახლანდ. ი. ჯავახიშვილის ქ.) მისცა ორსართულიანი შენობა. აქ იგი ატარებდა საჯარო ლექციებს თავისი მოძღვრების ძირითად საკითხებზე. წამოიწყო თეატრალური წარმოდგენის დადგმა ოპერის თეატრში სახელწოდებით „მოგვთა ბრძოლა“ (ტექსტი გ. გურჯიევისა, მუსიკა თ. ჰარტმანისა), მაგრამ წარმოდგენის დამთავრება თბილისში არ მოხერხდა. 1922 წლიდან გ. გურჯიევმა საქართველო დატოვა. 1933 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პარიზში ცხოვრობდა.

გ. გურჯიევის მოძღვრება ასახულია მის თხზულებებში, რომლებსაც ავტორის გარდაცვალების შემდეგ აქვეყნებდნენ მისი მოწაფეები: „ყველა და ყველაფერი (ანუ ბელზებელის საუბარი თავის შვილიშვილთან)“ (1950, ლონდონი), „შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან“ (1963, ლონდონი), „ჭეშმარიტების სამყაროში“ (1982, ბაზელი), „ცხოვრება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც „მე ვარ“ (1984, ბაზელი) და სხვ.

де Хартманом (также с супругой) и в сопровождении нескольких учеников приехали в Тбилиси. Общественность города встретила приезжих тепло. Г. Гурджиев сблизился с Григолом Робакидзе, художником Александром Зальцманом, с его супругой – хореографом Жанной–Матиньон Зальцман. В Тбилисской школе ритмической гимнастики, основанной мадам Зальцман по системе Жака Далькроза, исполнялись „Святые танцы“ и „Святая гимнастика“ Г. Гурджиева.

Осенью 1919 г. Г. Гурджиев открыл в Тбилиси „Институт гармоничного развития человека“. Правительство независимой Грузии предоставило ему для института двухэтажное здание на улице Николая (ныне ул. И. Джавахишвили), д. №22. Здесь он проводил публичные лекции, затрагивая основные вопросы своего учения. Имел намерение поставить в Тбилисском театре оперы и балета театральный спектакль под названием „Битва волхвов“ (текст Г. Гурджиева. музыка Т. Хартмана), однако довести начатое до конца не удалось. В 1922 г. Г. Гурджиев покинул Грузию. С 1933 г. вплоть до кончины он жил в Париже.

Учение Г. Гурджиева нашло отражение в его произведениях, опубликованных его учениками после смерти автора: „Все и вся (т. е. беседа Вельзевула со своим внуком) “ (1950, Лондон), „Встречи с замечательными людьми“ (1963, Лондон), „В мире истины“ (1982, Базель), „Жизнь истинна лишь тогда, когда „Есть Я“ (1984, Базель) и др.

in Tbilisi. The society of Tbilisi displayed due interest in the well-known guests. G. Gurdjieff made acquaintance of Grigol Robakidze, painter Alexander Zaltzman and his wife, choreographer Jeane-Matinion Zaltzman. Gurdjieff's *Sacred Dances* and *Sacred Gymnastics* were performed at the Tbilisi Gymnastics School of Dalcroze Eurhythmics System, founded by Madame Zaltzman.

In 1919, in Tbilisi, G. Gurdjieff set up the *Institute of Harmonic Development of Man*. The government of independent Georgia allocated a two-story building to him on No. 22, Nicholas Str. (current I. Javakhishvili Str.). There he used to deliver public lectures on key topics of his doctrine. At the Opera House he initiated work on theatrical production entitled *Battle of Magi* (text by G. Gurdjieff, music by T. Hartman) but he failed to complete the work in Tbilisi. In 1922 G. Gurjieff left Georgia. Starting from 1933 till his death, he lived in Paris.

G. Gurjieff's doctrine is expounded in his compositions, which have been posthumously published by his disciples: *Everyone And Everything (or Beelzebub's Tales to His Grandson)* (1950, London), *In the Universe of Truth* (1963, Basel), *Life Is Real Only When 'I Am'* (1984, Basel) and etc.

გ.გურჯიევი პარიზში
Г. Гурджиев в Париже
G. Gurdjieff in Paris





ადოლფ დირი
Адольф Дирр
Adolf Dirr

1867-1930

გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი. მიუნხენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1908), ბოლონიის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1924). დაიბადა გერმანიაში, ქ. აუგსბერგში. 1902-1913 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში. მუშაობდა მასწავლებლად ჯერ თემირ-ხან-შურაში, შემდეგ თბილისში ასწავლიდა გერმანულ ენას. სწავლობდა კავკასიის ხალხების ყოფასა და ენებს. ა. დირის ნარკვევებში, რომელთა დიდი ნაწილი თბილისში გამოიცა, წარმოდგენილია დაღესტნური ენების გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები (რუსული თარგმანითურთ), ლექსიკონი. მან შეადგინა გერმანულ ენაზე „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“ (1904). ა. დირის ნაშრომი „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“ (1928) იმ დროისათვის ყველაზე ვრცელი შემაჯამებელი გამოკვლევა იყო. 1909 წელს ა. დირს მიენიჭა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პრემია. მან დააარსა ჟურნ. “Caucasica”, რომელიც პირველი საენათმეცნიერო – კავკასიისმცოდნეობითი ჟურნალია. 1913 წელს ა. დირი გერმანიაში დაბრუნდა და გარდაცვალებამდე მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი იყო.

Немецкий этнограф и языковед, исследователь Кавказа. Почетный доктор Мюнхенского университета (1908), член-корреспондент Академии Болоньи (1924). Родился в Германии, в г. Аугсберге. В 1902–1913 гг. жил на Кавказе, преподавал немецкий язык сперва в Темир Хан-Шуре, а затем в Тбилиси. А. Дир изучал быт и языки кавказских народов. В его очерках, большинство которых изданы в Тбилиси, представлен грамматический обзор дагестанских языков, тексты (с русским переводом) и словарь. А. Диру принадлежит выполненная на немецком языке „Теоретико-практическая грамматика современного грузинского языка“ (1904). Труд А. Дира „Введение в изучение кавказских языков“ (1928) наиболее суммирующий труд того времени. В 1909 г. А. Диру была присвоена премия Петербургской Академии наук. А. Дир был основателем первого языковедо-кавказсковедческого журнала „Caucasica“. В 1913 г. А. Дир вернулся в Германию, где до самой смерти занимал пост директора Мюнхенского этнографического музея.

German ethnographer and linguist, expert in the Caucasian Studies. Honorary Doctor of the Munich University (1908), Corresponding Member of the Bologna Academy (1924). Born in Augsburg, Germany. In 1902–1913 he lived in the Caucasus. He worked as a teacher first in Temir-Khan-Shura, later he taught German language in Tbilisi. He explored the way of life of Caucasian peoples and studied their languages. In his research works mostly published in Tbilisi, A. Dirr presented grammatical analysis of Dagestani languages and literary texts, accompanied by their Russian translations and dictionary. He compiled Theoretical-Practical Grammar of Modern Georgian Language (1904) in German. A. Dirr's composition *Introduction to the Study of the Caucasian Languages* (1928) was the most extensive summarized research of that time. In 1909 A.Dirr was awarded the prize of the Petersburg Academy of Science. He founded *Caucasica*, the first linguistic magazine in the field of the Caucasian Studies. In 1913 A. Dirr returned to Germany and till his death he filled the position of a director of Munich Ethnographic Museum.



ალექსანდრე დიუმა
Александр Дюма
Alexander Dumas

1802–1870

ფრანგი მწერალი. დაიბადა საფრანგეთში, ვილერ-კოტრეში (ენის დეპარტამენტი). საქართველოში იგი სიცოცხლეშივე გახდა ცნობილი, მნიშვნელოვანწილად იმ ფაქტის გამოც, რომ საქართველოში იმოგზაურა. ჯერ კიდევ კავკასიაში გამომგზავრებამდე, 1858 წელს, თავის გაზეთ „მონტე-კრისტოში“ წერდა, რომ სურს ნახოს კლდე კავკასიაში, სადაც მიჯაჭვული იყო პრომეთე და პირადად შეხვდეს შამილს. 1858 წლის 23 ნოემბერს ა. დიუმა საქართველოში ჩამოვიდა და 1859 წლის 11 იანვრამდე დარჩა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში „კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებები“. ა. დიუმამ თითქმის მთელი საქართველო მოიარა, იყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში; კარგა ხანს გაჩერდა თბილისში, წინანდალში, ქუთაისსა და ფოთში. შეხვდა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებს, მწერლებს, უშუალოდ გაეცნო ხალხს, მის ადათ-წესებს. წერდა, რომ მოხვდა ნამდვილ „ქართულ სამოთხეში“. როგორც ჩანს, ა. დიუმას ჰქონდა სათანადო ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცოდნა, იცნობდა როგორც ანტიკური ხანის, ისე ევროპელი მოგზაურებისა და მწერლების თხზულებებს საქართველოს შესახებ. წიგნში დიდი ადგილი ეთმობა თბილისს, მისი ღირსშესანიშნაობების აღწერას. ა. დიუმას მოუნახულებია თბილისის გოგირდოვანი აბანოები, აღფრ-

Французский писатель. Родился во Франции, в Виллер-Корте (Департамент Эн). Имя А. Дюма было известно в Грузии еще при жизни писателя, в чем, помимо всего, немаловажную роль сыграло его путешествие по Грузии. Прежде чем предпринять путешествие по Кавказу, А. Дюма в 1858 г. писал в своей газете „Монте-Кристо“, что намерен посетить те места и скалу, к которой был прикован Прометей, а также встретиться с Шамилем. 23 ноября 1858 г. А. Дюма приехал в Грузию и пробыл здесь до 11 января 1859 г. Впечатления, полученные во время поездки в Грузию, он описал в книге под названием „Кавказ. Путевые впечатления“. Писатель объездил всю Грузию, посетил Картли, Кахети, Имерети, Самегрело; сравнительно подолгу остановился в Тбилиси, Цинандали, Кутаиси и Поти. Имел встречи с выдающимися деятелями того времени, писателями, ознакомился с народными обычаями и обрядами А. Дюма писал, что он попал в настоящий „грузинский рай“. Видимо, он располагал соответствующими историческими, географическими и этнографическими сведениями, был знаком с сочинениями европейских путешественников и писателей о Грузии. В книге значительное место отводится Тбилиси, описанию достопримечательностей города. А. Дюма посетил городские серные бани, тбилисский театр, которым он восторгался, как „одним из лучших театров

French writer. Born in Villers-Cotterêts, France (departmnet of Aisne). Besides being the author of famous books, he became popular in Georgia thanks to his travels there. In 1858, prior to his travels in the Caucasus, in his newspaper *Monte-Cristo* he wrote that he wished to see the mountain in the Caucasus, where Prometheus had been chained, and meet Imam Shamil personally. On November 23, 1858 A. Dumas arrived in Georgia and stayed there till January 11, 1859. He wrote about his impressions of said travels in the book *The Caucasus. Travel Impressions*. A. Dumas journeyed throughout almost all Georgia; he visited Kartli, Kakheti, Imereti, Samegrelo. He stayed for a good while in Tbilisi and met public figures and writers of that time. He gathered information about customs and traditions of ordinary people. A. Dumas wrote that he found himself in a real 'Georgian paradise'. Apparently, he had good historic, geographic and ethnographic knowledge of the place he was visiting; Obviously, he had delved into the books about Georgia by Antic, as well as European travelers and writers.

In his book *The Caucasus. Travel Impressions* he assigned a special place to the descriptions of Tbilisi and its sights of interest. A. Dumas visited the sulphur baths of the city, he was delighted with the Tbilisi theater of those days – 'one of the best world over'. The book contains a noteworthy passage regarding Geor-

თოვანებულა თბილისის მაშინდელი თეატრით – „ერთ-ერთი საუკეთესო თეატრით დედამიწის ზურგზე“. საყურადღებოა მისი აზრი ქართული სიმღერების შესახებაც. ა. დიუმა მოუხიბლავს ქართველი ქალების სილამაზეს: „საბერძნეთი არის გალათეა, ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეაა“.

კავკასიაში მოგზაურობისას ა. დიუმას თან ახლდა ფრანგი მხატვარი მუანე, რომელმაც მრავალი საინტერესო ჩანახატი გააკეთა.

ა. დიუმა გარდაიცვალა პიუიში (ქვემო სენის დეპარტამენტი). 2002 წელს მისი ნეშტი პარიზის პანთეონში გადაასვენეს.

мира“. Он высоко оценил грузинскую песню. Обворожила его и красота грузинских женщин: „Греция это высеченная из мрамора Галатея, Грузия же одухотворенная и превратившаяся в женщину Галатея“.

А. Дюма путешествовал по Кавказу в сопровождени и французского художника Муане, автора многих интересных зарисовок.

Скончался А. Дюма в Пюи. В 2002 г. его прах был перенесен в Парижский Пантеон.

gian songs. He was fascinated by the beauty of Georgian women: ‘Greece is a marble Galatea, while Georgia embodies a revived beautiful Galatea.’

During A. Dumas travel in the Caucasus, he was accompanied by French artist Muanet, who made a number of interesting sketches.

A. Dumas died in Puy. In 2002 his ashes were reinterred at the Panthéon of Paris.





დიმიტრი ერმაკოვი
Дмитрий Ермаков
Dmitry Ermakov

1846-1916

ხატვარი-ფოტოგრაფი, კოლექციონერი. მამამისი, იმ დროისათვის ცნობილი იტალიელი არქიტექტორი, ლუიჯი (ლუდვიგ) კამბიაჯიო, საქართველოში ოდესიდან ჩამოვიდა. დედა, მოლოკანი, გლეხის ქალი იყო. სავარაუდოდ, დედის ან მამინაცვლის მხრიდან უნდა იყოს გვარი „ერმაკოვი“. დ. ერმაკოვი ნახიჩევანში დაიბადა. ფოტოგრაფირება დაიწყო XIX ს. 60-იანი წლებიდან. 1870 წელს ტრაბზონიდან (თურქეთი) პეტერბურგში (გეოგრაფიული საზოგადოებისათვის) გაგზავნა თორთუმის ოლქში გადაღებული სურათები. ეს არის იქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების პირველი ფოტოფიქსაცია. 1880 წელს თბილისში, სასახლის ქუჩაზე (ახლანდ. შოთა რუსთაველის პრ.), დ. ერმაკოვმა გახსნა ფოტოატელიე. 1897 წელს ის აირჩიეს კავკასიის ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1912 წელს – დამფუძნებელ წევრად; 1907 წელს – მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრად.

დ. ერმაკოვი დაუცხრომელი მოღვაწე იყო. იგი ბევრს მოგზაურობდა როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, ირანი...), ასევე თვით საქართველოში, მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ თუ არქეოლოგიურ ექსპედიციაში. 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით ლეჩხუმ-

Художник-фотограф, коллекционер. Отец – известный в свое время итальянский архитектор Луиджи (Людвиг) Камбиаджо, приехал в Грузию из Одессы, мать – крестьянка-молоканка. Предположительно, что фамилию „Ермаков“ художник получил то ли по материнской, то ли по линии отчима. Д. Ермаков родился в Нахичевани. К фотографированию приступил в 60-х гг. XIX века. В 1870 г. он из Трабзона (Турция) в Петербург послал (для географического общества) заснятые в Тортумском округе фотографии. Это была первая фотофиксация существующих там грузинских архитектурных памятников. В 1880 г. в Тбилиси, на Дворцовой улице (ныне пр. Шота Руставели) Д. Ермаков открыл фотоателье. В 1897 г. он был избран членом-корреспондентом Кавказского поощрительного общества изящных искусств, в 1912 г. – учредительным членом того же общества, а в 1907 г. – членом Кавказского отдела Московского археологического общества.

Д. Ермаков был весьма активным деятелем. Он много путешествовал как по Восточным странам (Турция, Иран...), так и по Грузии, принимал участие во многих этнографических и археологических экспедициях. Будучи участником археологической экспедиции по Лечхуми и Сванети, предпринятой Е. Такаишвили в 1910 г., он заснял 1500 фотоснимков (в т. ч. таких памятников, которые не сохра-

Artist– photographer and collector. His father, distinguished architect of his time Luigi (Ludwig) Cambiaggio, arrived in Georgia from Odessa. His mother was a local peasant woman of the Molokani faith. Presumably, the surname ‘Ermakov’ belonged to his mother or his stepfather. D. Ermakov was born in Nakhichevan. He started taking photos in the 1860s. In 1870, being on trip in Trabzon, he sent to the Petersburg Geographic Society the photos taken in the Tortum District. It was the first ever photo-recording of Georgian architectural monuments located in that place. In 1880, in Tbilisi, on the Palace street (present-day Rustaveli Avenue) D. Ermakov set up a photographer’s studio. In 1897 he was elected a corresponding member of the *Caucasian Society for Promoting Fine Arts*; in 1912 he became its founding member. In 1907 he was chosen a member of the Caucasian Sector of the *Moscow Archeological Society*.

D. Ermakov was an ever-active person. He traveled and worked incessantly in the Oriental countries (Turkey, Iran) as well as in Georgia. He participated in a number of significant ethnographic and archeological expeditions. In 1910 he took part in the archeological expedition in Lechkhumi and Svaneti, organized by Eqvtime Takaishvili, there he took 1500 photos (among them - the pictures of the monuments, which have been destroyed later).

D. Ermakov gathered a lot of photo-

სვანეთში მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ყოფნისას მან გადაიღო 1500 ფოტოსურათი (მ.შ. ისეთი ძეგლებისა, რომლებიც შემდეგ განადგურდა).

დ. ერმაკოვმა დიდძალ ფოტომასალას მოუყარა თავი, მას გადაღებული აქვს საქართველოს სამხედრო გზა, მანგლისის, წალკის, ქსნის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი, აფხაზეთის ძეგლები, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული ნიმუშები: ოშკი, ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია და მრავალი სხვა. დ. ერმაკოვმა შემოგვინახა ძველი თბილისის განუმეორებელი იერი – ქალაქის ქუჩები, მოედნები, არქიტექტურული ძეგლები. მან შეაგროვა თბილისში მოღვაწე ფოტოგრაფთა ნამუშევრები, დაახარისხა თემატურად და ცალ-ცალკე ალბომებად შეკრიბა ისინი. მისი კოლექცია ათეულობით ათას ფოტოს მოიცავდა (კოლექციის I კატალოგი გამოიცა 1896 წელს, II-1901 წელს). ფოტონეგატივების უმრავლესობა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

დ. ერმაკოვი გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

нились).

Д. Ермаков собрал весьма внушительный по содержанию и количеству фотоматериал. Им засняты Военно-грузинская дорога, материал археологических раскопок в Манглиси, Цалке, Ксанском ущелье; архитектурные памятники Абхазии, Тао-Кларджети: Ошки, Хахули, Ишхани, Отхта Эклесия и т. д. Фотоснимки Д. Ермакова сохранили неповторимый облик старого Тбилиси – его улицы, площади, архитектурные памятники города. Д. Ермаков собрал работы тбилисских фотографов, рассортировал их тематически в разных альбомах. Коллекция Д. Ермакова содержала десятки тысяч фотоснимков (I том каталога издан в 1896 г.; II – 1901). Большинство фотонегативов хранятся в Национальном музее Грузии.

Скончался Д. Ермаков в Тбилиси. Похоронен на Кукийском кладбище.

graphic material. He had taken the pictures of Georgian Military Road, the findings of Manglisi, Tsalka and Ksani Gorge archeological expeditions; monuments of Abkhazia and Tao-Klarjeti: churches of Oshki, Khakhuli, Ishkhani, Otkhta, etc. In his works he preserved the views of old Tbilisi - its streets, squares and architectural monuments. He collected the pictures taken by other photographers of that time, sorted them out thematically and compiled them in separate albums. His collection comprised many of thousand photos (the 1st catalog of his collection was published in 1896, the 2nd one – in 1901). Most of his photographic negative are preserved at the National Museum of Georgia.

D. Ermakov died in Tbilisi. He was buried at Kukia cemetery.

ექსპედიცია მცხეთაში. 1922
Экспедиция в Мцхету. 1922
Expedition to Mtskheta. 1922





სერგეი ესენინი
Сергей Есенин
Sergey Yesenin

1895-1925

რუსი პოეტი. დაიბადა რიაზანის ოლქის სოფ. კონსტანტინოვოში (ამ სოფელს შემდეგ ესენინო ეწოდა). 1913 წელს გახდა მოსკოვის ა. შანიავსკის სახ. სახალხო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიური განყოფილების თავისუფალი მსმენელი. საქართველოში 1924-1925 წლებში ცხოვრობდა: 1924 წელს თბილისში – სექტემბრიდან დეკემბრამდე და ბათუმში – 1924 წლის დეკემბრიდან 1925 წლის თებერვლის ბოლომდე. საქართველოში ს. ესენინის პირველი მასპინძლები „ცისფერყანწელები“ იყვნენ: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვ. საქართველო პოეტისათვის შთაგონების წყარო გახდა. აქ მან შექმნა 30-ზე მეტი ნაწარმოები, რომლებსაც მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: პოემა „ანა სნეგინა“, „სპარსული მოტივების“ ნაწილი (ნაწილი ბაქოშია დაწერილი) და სხვ.

საქართველომ მოაჯადოვა ს. ესენინი. თბილისში ის თავის სტიქიაში მოხვდა: მოსწონდა რუსთაველის თეატრში კაფე „ქიმერიონი“, სადაც თავს იყრიდა ქართული შემოქმედებითი საზოგადოება, სადაც ტრიალებდნენ „ცისფერყანწელები“ და სუფევდა პოეტური სული; მოიხიბლა ქალაქგარეთ სეირნობითა და მწვანე ბალახზე გაშლილი სუფრით, სადაც ისევ და ისევ პოეტების „შეხლა-შემოხლა“ იყო მთავარი. თბილისური შთაბეჭდილებები აისახა მის ლექსებში: „საქართველოს პოეტებს“ და „კავკასიაში“ (ორივე 1925).

ს. ესენინი გარდაიცვალა სანქტ-პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადი). ოფიციალური ვერსიით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დაკრძალულია მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე.

Русский поэт. Родился в с. Константинове Рязанской области (позднее – Есенино). С 1913 г. был слушателем московского народного университета им. А. Шанявского. Жил в Грузии в 1924–1925 гг.: в Тбилиси с сентября месяца по декабрь 1924 г., и с декабря 1924 г. до конца февраля 1925 г. в Батуми. Принимали в Грузии С. Есенина поэты „голубороговцы“: Тициан Табидзе, Паоло Яшвили, Гиорги Леонидзе, Валериан Гаприндашвили и др. Грузия стала источником вдохновления для поэта. Здесь написал он более 30 прекрасных произведений: поэму „Анна Снегина“, часть „Персидских мотивов“ (другая часть написана в Баку) и др.

Грузия обворожила С. Есенина. Здесь он очутился в своей стихии: ему нравились кафе „Кимериони“ в Театре Руставели, где собирались „голубороговцы“ и царил поэтический дух: гулянье за пределами города и застолье на зеленом лугу, где опять таки вступал в поэтический „поединок“. Впечатления, полученные в Тбилиси отразились в его стихах:„Грузинским поэтам“ и„На Кавказе“ (оба 1925). К грузинским поэтам он обращался со следующими словами:

„Я Вас люблю, как шумную Куру,
Люблю в пирах и разговорах“.

Скончался С. Есенин в Санкт-Петербурге (в Ленинграде по тем временам). Официальная версия гласила, что он покончил жизнь самоубийством. Похоронен в Москве, на Ваганьковском кладбище.

Russian poet. Born in the village of Konstantinovo (later the village was renamed Yesenino) in the Ryazan Province, Russia. Starting from 1904 he studied at a public school; then, starting from 1909, he attended parochial-educational school. In 1913 he became a free student of historical-philosophical department of the Moscow People's State University named after L. Shanyavsky. He visited Georgia in 1924 – 1925. He stayed in Tbilisi in September – December of 1924 and spent December – end of February of 1925 in Batumi. Yesenin's first hosts were the members of local literary trend '*Tsisperkantselebi*' (Blue Drinking Horn Brotherhood): Titsian Tabidze, Paolo Iashvili, Giorgi Leonidze, Valerian Gaprindashvili and others. Georgia became an inspiration to the poet. There he composed over 30 poems, among them – *Ana Snegina*, part of *The Persian Motifs* (other part was written in Baku), etc.

Yesenin was enchanted with Georgia; in Tbilisi he found himself in his element – he frequented *Café 'Qimerioni'* at the Rustaveli Theater, were Georgian men of arts congregated and 'Tsisperkantselebi' used to gather; it was the place where the poetic spirit prevailed. He liked picnics in the open air, where 'poetic jousting' was the key event of the feast. The main impressions of his stay in Tbilisi were conveyed in his poems *To the Poets of Georgia* and *In the Caucasus* (both poems were written in 1925).

S. Yesenin died in St. Petersburg (Leningrad of that time). According to the official version, he committed suicide. He was buried at the Vagankovo Cemetery.



ვაზეჰი
Вазех
Vazeh

1792(96)-1852

ნამდვილი სახელი მირზა შაფი, აზერბაიჯანელი პოეტი, განმანათლებელი. დაიბადა განჯაში. სწავლობდა განჯის შაჰ-აბასის მედრესეში. იცოდა აღმოსავლური ენები, ლიტერატურა, თეოლოგია, იყო შესანიშნავი კალიგრაფი. 1840 წლიდან თბილისის სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებს. 1844 წელს დააარსა ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე. 1846-1850 წლებში განჯაში მასწავლებლობდა. 1850 წელს დაბრუნდა თბილისში.

ვაზეჰის შემოქმედება შეიცავს ფილოსოფიურ ლირიკას, სატირული ჟანრის ნაწარმოებებს, სატრფიალო ლექსებს და სხვ. პოეტი უმღერის სიყვარულს, იბრძვის დესპოტიზმის, რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ, პიროვნების თავისუფლებისათვის. ვაზეჰი კარგად იცნობდა ქართულ სინამდვილეს, რაც აისახა მის პოეზიაში („დამშვიდობება თბილისთან“ და სხვ.). ვაზეჰის შემოქმედებას მსოფლიო იცნობს გერმანელი პოეტის ფ. ბოდენშტედტის მეშვეობით, რომელმაც მისი სპარსულენოვანი პოეზია თარგმნა და შეიტანა წიგნში „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (1850) და კრებულში „მირზა შაფის სიმღერები“ (1851). ეს თარგმანები ფ. ბოდენშტედტის სახელთან დაკავშირებული გახმაურებული ლიტერატურული დავის საგანი გახდა, რადგან ფ. ბოდენშტედმა ვაზეჰის ლექსები თავისად გამოაცხადა.

ვაზეჰი გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია მუსლიმთა სასაფლაოზე.

Настоящее имя Мирза Шафи. Азербайджанский поэт, просветитель. Родился в Гяндже. Учился в Гяндже, в медресе Шаха Аббаса. Владел восточными языками, имел обширные знания по литературе и теологии, был искусным каллиграфом. С 1840 г. преподавал азербайджанский и персидский языки в Тбилисском окружном училище. В 1844 г. учредил литературно-философский кружок. В 1846–1850 гг. работал в Гяндже учителем, с 1850 г. возвратился в Тбилиси.

В творчестве Вазеха особое место отводится философской и любовной лирике, произведениям сатирического жанра и т. д. Поэт воспевал любовь, выступал против деспотизма и религиозного фанатизма, был защитником свободы личности. Вазех хорошо знал Грузию, реалии быта грузинского народа, что нашло отражение в его поэзии (стих „Прощание с Тбилиси“ и др.). С творчеством Вазеха мир познакомился через переводы немецкого поэта Ф. Боденштедта, который включил переводы персоязычной поэзии Вазеха в свою книгу „Тысяча и один день на Востоке“ (1850), а затем отдельно издал „Песни Мирзы Шафи“ (1851). Эти переводы стали объектом литературного спора, связанного с именем Ф. Боденштедта, который выдал стихи Вазеха за свои.

Скончался Вазех в Тбилиси. Похоронен на Мусульманском кладбище.

Azerbaijani poet and educator, whose autonym was Mirza Shafi. Vazeh was born in Ganja. He graduated from the Shah Abbas madrasah in Ganja. He was well versed in Oriental languages, literature, theology. Vazeh was a perfect calligrapher. Starting from 1840 he taught Azerbaijani and Persian languages at the Tbilisi District School. In 1844 he founded a literary-philosophical circle. In 1846 – 1850 he was engaged in teaching at a school in Ganja. In 1850 Vazeh returned to Tbilisi.

Vazeh's works comprise philosophical poetry, satirical compositions, lyrics and other works of art. His compositions include poems devoted to love, reproaches for despotism, accusations of religious zealotry, pursuit of personal freedom. Vazeh appeared to know Georgia well; his subject good knowledge was reflected in his poetry (*Farewell to Tbilisi*, etc.). The literary world knows Vazeh's works thanks to German poet F. Bodenstedt who translated his poetic pieces and incorporated them into his books - *1001 Days in the Orient* (1850) and *Songs of Mirza Shafi* (1851). F. Bodenstedt's said translations triggered widely publicized literary debates. (See article *F.F. Bodenstedt*).

Vazeh died in Tbilisi. He was buried at the Muslim cemetery.



ზიგმუნდ ვალიშევსკი
Зигмунд Валишевский
Zygmunt Waliszewski

1897–1936

პოლონელი ფერმწერი, გრაფიკოსი. ახალი პოლონური მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა პეტერბურგში. 1903 წელს ვალიშევსკების ოჯახი საცხოვრებლად ჯერ ბათუმში, ხოლო 1905 წლიდან – თბილისში გადმოვიდა. სწავლობდა კავკასიის ხელოვნების წამახალისებელ სასწავლებელში. 1908 წელს თბილისში გაიმართა ზ. ვალიშევსკის პერსონალური გამოფენა. 1919 წელს ძველი თბილისის თემებზე მოხატა კაფე „ქიმერიონი“ (ლადო გუდიაშვილთან, დავით კაკაბაძესთან, სერგეი სუდეიკინთან ერთად), ასევე კაფე „ფარშავანგის კუდი“ კირილ ზდანევიჩთან ერთად. იგი მონაწილეობდა ნიკო ფიროსმანის სურათების შეგროვებაში. 1921 წელს ზ. ვალიშევსკი საცხოვრებლად პოლონეთში გადავიდა.

ზ. ვალიშევსკის ცნობილი ნამუშევრებია „მოცარტი და სალიერი“ (1917), „ტანია ამორძალი“ (1920), „დონ კიხოტი სავარძელზე“ (1934), „სიყვარულის კუნძული“ (1935) და სხვ. იგი ქმნიდა პორტრეტებსაც. დაგვიტოვა ქართველი მანდილოსნების ოლია კონიაშვილის, მელიტა ჩოლოყაშვილის, უცნობი ქალის პორტრეტი და სხვ., აღსანიშნავია „ავტოპორტრეტი წითელი ჩალმით“ (1935). ზ. ვალიშევსკი ასრულებდა თეატრალურ დეკორაციებსაც. მისი სურათების უმრავლესობა თავმოყრილია კრაკოვის, პოზნანისა და ვარშავის ეროვნულ მუზეუმებში.

ზ. ვალიშევსკი ვარშავაში გარდაიცვალა.

Польский живописец и график. Родился в Петербурге. В 1903 г. семья Валишевских переехала в Батуми, а с 1905 г. – в Тбилиси. Учился в Закавказском училище поощрения изящных искусств. В 1908 г. в Тбилиси открылась персональная выставка З. Валишевского. В 1919 г. он, совместно с Ладо Гудиашвили., Давидом Какабадзе и Сергеем Судейкиным, расписал кафе „Кимериони“, используя тбилисские темы, а также кафе „Павлиний хвост“ совместно с Кириллом Зданевичем. З. Валишевский принимал участие в собирании полотен Нико Пиросмани. В 1921 г. З. Валишевский переехал в Польшу.

Известные полотна З. Валишевского: „Моцарт и Сальери“ (1917), „Амазонка Таня“ (1920), „Дон Кихот в кресле“ (1934), „Остров любви“ (1935) и др. Занимался З. Валишевский и портретной живописью, оставив нам портреты Ольги Кониашвили, Мелиты Чолокашвили, портрет незнакомки и др. Следует отметить „Автопортрет в красной чалме“ (1935). Он оформлял и театральные декорации. Большинство полотен З. Валишевского хранится в Национальных музеях Кракова, Познани и Варшавы.

З. Валишевский скончался в Варшаве.

Polish painter and graphic artist. One of the outstanding representatives of Polish Art. He was born in Petersburg. In 1903 the family of Waliszewski moved to Batumi and in 1905 the Waliszewskis settled in Tbilisi. Zygmunt Waliszewski studied at the Caucasian specialized school of art promotion. In 1908, in Tbilisi, they organized a personal exhibition of Z. Waliszewski's work. In 1909, together with Georgian painters L. Gudiashvili, D. Kakabadze and S. Sudeikin, he painted frescos on the walls of café '*Qimerioni*'. In collaboration with Kirill Zdanevich, Georgian artist of Polish origin, he decorated the walls of another café '*Tail of Peacock*'. He took activ part in collecting the paintings of remarkable self-educated Georgian artist Niko Pirosmani. In 1921, Z. Waliszewski moved to Poland.

Zygmunt Waliszewski's well-known works are '*Mozart and Salieri*' (1917), '*Tania the Amazonian*' (1920), '*Don Quixote on Armchair*' (1934), '*Love Island*' (1935), etc. At the same time, he was well versed in painting portraits. He has portrayed eminent Georgian ladies: Olia Koniashvili, Melita Cholokashvili, unknown lady, etc. Among his noteworthy work stand out his '*Self-portrait in Red Turban*' (1935). Z. Waliszewski used to paint stage sceneries as well. Most of his works are dispayed at the national galleries of Krakow, Poznan and Warsaw,

Z. Waliszewski died in Warsaw.

ზიგმუნდ ვალიშევსკი. ავტოპორტრეტი
Зигмунд Валишевский. Автопортрет
Zygmunt Waliszewski. Self-portrait



სერგეი ვიტე
Сергей Витте
Sergei Witte

1849-1915

რუსი სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა თბილისში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო მოწვეული მასწავლებლების მეშვეობით, შემდეგ კი თბილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. პარალელურად სწავლობდა იმ დროს თბილისში მოღვაწე იტალიური ოპერის ორკესტრანტთა მიერ გახსნილ მუსიკალურ კლასებში.

1866 წელს ს. ვიტეს ოჯახი საცხოვრებლად ოდესაში გადავიდა. 1870 წელს ს. ვიტემ დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტი და დაინიშნა ოდესის რკინიგზაზე მიმოსვლის უფროსად. 1889 წლიდან იყო ფინანსთა სამინისტროს რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორი, ხოლო 1892 წლიდან ჯერ გზათა, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრი.

ს. ვიტე ორი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა რუსეთის საიმპერიო პოლიტიკის უმაღლეს ეშელონებში, იყო საიმპერატორო კართან (ჯერ ალექსანდრე III-ის, შემდეგ ნიკოლოზ II-ის მმართველობის I ნახევარში) ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებაზე. მისი ინიციატივით შემოიღეს ღვინის მონოპოლია (1894), გაიყვანეს ციმბირის რკინიგზა, გატარდა ფულის რეფორმა (1897); ხელს უწყობდა რუსეთში უცხოური კაპიტალის მოზიდვას (მ.შ. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სამთამადნო მრეწვ-

Русский государственный деятель. Родился в Тбилиси. Начальное образование получил в семье через приглашенных учителей, затем окончил Тбилисскую мужскую классическую гимназию. Параллельно учился в музыкальных классах, открытых в Тбилиси оркестрантами итальянской оперы.

В 1866 г. семья Витте переехала жить в Одессу. В 1870 г. С. Витте окончил Новороссийский университет (Одесса) и был назначен начальником движения Одесской железной дороги. С 1899 г. был директором департамента железной дороги Министерства финансов, а с 1892 г. сперва министром путей сообщения, а затем министром финансов.

Деятельность С. Витте в высших эшелонах российской империи длилась в течение двух десятков лет: был приближенным лицом к императорскому двору (сперва ко двору Александра III, а затем Николая II в первой половине его правления), оказывал значительное влияние на внутреннюю и внешнюю политику России, на развитие капитализма в этой стране. По его инициативе была введена винная монополия (1894), сооружена Сибирская железно-дорожная магистраль, осуществлена денежная реформа (1897), он содействовал привлечению в Россию иностранного капитала (в т. ч. в горной промышленности Тбилисской и Кутаисской губерний); принимал участие в разработке

Russian statesman. Born in Tbilisi, he received primary education at home, being trained by the invited tutors. Thereupon he graduated from the Tbilisi Classical School for boys. At the same time he attended the musical classes organized by the musicians of Italian orchestra, staying in Tbilisi.

In 1866 S. Witte's family moved to Odessa. In 1870 S. Witte graduated from the Novorossiya (Odessa) University and was appointed the chief of railway traffic at the Odessa railway. Starting from 1889 he served at the Ministry of Finance as the Director of Railway Department. From 1892 he filled the position of the Minister of Roads, later he held the office of the Minister of Finance.

For more than 20 years S. Witte used to perform his job at the high political spheres of Russian Empire. He was a member of the inner circle at the Emperor's Court (first – during the rule of Alexander III, then – in the 1st half of the reign of Nicholas II). He had considerable influence over Russian domestic and foreign policy as well as over the development of the industry in the country. He initiated introduction of wine monopoly (1894), building of Siberian railway, implementation of monetary reform (1897). He encouraged the attraction of foreign capital to Russia (including investments in metal mining industry in Tbilisi and Kutaisi provinces) and participated in elaboration of agricultural programs. S. Witte opposed the war against Japan, which occasioned his reduction

ელობაში); მონაწილეობდა აგრარული პროგრამის შემუშავებაში. ს. ვიტე წინააღმდეგი იყო იაპონიასთან ომისა, რის გამოც გადააყენეს ფინანსთა მინისტრის პოსტიდან (1903) და დანიშნეს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ. ხელმძღვანელობდა დელეგაციას, რომელმაც ხელი მოაწერა პორტსმუთის საზავო ხელშეკრულებას იაპონიასთან (1905), რისთვისაც ნიკოლოზ II-მ მას გრაფის ტიტული მიანიჭა. 1905 ოქტომბრიდან 1906 წლის აპრილამდე იგი სათავეში ედგა რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს. 1906 წლის 16 აპრილს ს. ვიტე გადადგა, თუმცა დარჩა სახელმწიფო საბჭოს წევრად და საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1907-1912 წლებში დაიწერა მისი „მოგონებები“ (ტ. 1-3), რომელშიც იხსენებს თბილისში გატარებულ სიყმაწვილის წლებს.

ს. ვიტე დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე.

аграрной программы. С. Витте выступал против войны с Японией, в связи с чем был отстранен от поста министра финансов (1903) и назначен председателем комитета министров. С. Витте возглавлял делегацию, подписавшую Портсмутский мирный договор с Японией (1905), за что Николай II присвоил ему титул графа. С октября 1905 г. по апрель 1906 г. С. Витте возглавлял Совет министров Российской Империи. 16 апреля 1906 г. С.Витте подал в отставку, хотя оставался членом Государственного Совета и председателем финансового комитета. В 1907–1912 гг. он написал „Воспоминания“ (т. 1–3), часть которых посвящена проведенным в Тбилиси юношеским годам.

Скончался С. Витте в Петербурге. Похоронен в Александро-Невской лавре, на Лазаревском кладбище.

to the position of the Chairman of the Committee of Ministers. He headed the delegation that signed the Portsmouth Peace Agreement with Japan (1905), for which Nicholas II bestowed on him the title of a Count. From October of 1905 to April of 1906 he headed the Council of Ministers. On April 16, 1906 S. Witte retired, although he retained the position of the member of State Council and Chairman of Financial Committee. In 1907–1912 he published the *Memoirs*, where he remembered his youthful years, spent in Tbilisi.

S. Witte was buried in Petersburg, at the Lazarev cemetery in the Alexander Nevski laura.

ს.ვიტეს პორტრეტი. მხატვარი ი.რეპინი
Портрет С.Витте. Художник И.Репин
Portrait of S.Witte. Painter I.Repin





მიხეილ ვორონცოვი
Михаил Воронцов
Mikhail Vorontsov

1782-1856

რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1856). დაიბადა სანქტ-პეტერბურგში. ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა ლონდონში, სადაც იმ დროს მამამისი, სემიონ ვორონცოვი მუშაობდა. იქ მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. 1844-1854 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. მ. ვორონცოვი მოქნილი და გონიერი მმართველი გამოდგა. უმთავრეს ამოცანად ისახავდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში რუსული წესების დანერგვას. ამას იგი აღწევდა თანდათანობით, მოქნილი პოლიტიკით, კულტურულ ღონისძიებათა გატარებით. მხარს უჭერდა ქართველი საზოგადოების მრავალ წამოწყებას და თუ, ერთის მხრივ, ემსახურებოდა კავკასიის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, მეორეს მხრივ, ეს საქმიანობა თბილისში კულტურული ცხოვრების აღორძინებას უწყობდა ხელს. მ. ვორონცოვის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში ქართული თეატრის აღორძინება, სასწავლო დაწესებულებათა, გაზეთ „კავკაზის“, საჯარო ბიბლიოთეკის, რუსეთის იმპერიის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსება. მის დროს დაიწყო თბილისის მნიშვნელოვანი განაშენიანება, აიგო

Русский государственный деятель, генерал-фельдмаршал (1856). Родился в Санкт-Петербурге. Детство и юность провел в Лондоне, где в то время работал его отец Семен Воронцов. В Лондоне получил блестящее образование. В 1844–1845 гг. был наместником на Кавказе и главнокомандующим отдельным кавказским корпусом. Принимал участие в военных действиях против Шамиля. М. Воронцов оказался умным и гибким правителем. Придерживался своей главной задачи – внедрению русских порядков во всех сферах общественной и политической жизни Грузии. Шел к цели постепенно, прибегал к гибкой политике и проведению культурных мероприятий. Поддерживал множество начинаний грузинской общественности. И если с одной стороны служил делу колонизации Кавказа и его полному слиянию с Российской империей, то с другой стороны его деятельность способствовала оживлению культурной жизни Тбилиси. С именем М. Воронцова связаны возрождение грузинского театра в Тбилиси, открытие Публичной библиотеки, выпуск газеты „Кавказ“, учреждение Кавказского отделения Императорского географического общества Российской империи. Во время правления М. Воронцова началось градостроительство, были сооружены Михайловский (Воронцовский) мост и площадь. Молодежь из дворянских семей по содействию М.

Russian statesman, field-marshal. Born in St. Petersburg, M. Vorontsov spent his childhood and youthful years with his father in London, where he acquired excellent education. In 1844–1854 he served as a Viceroy of the Caucasus and a Commander-in-Chief of Caucasian Special Corps. He participated in the battles against Shamil. M. Vorontsov turned out to be a flexible and smart administrator. He endeavored to implement Russian imperial guidelines in all spheres of public and political life. He accomplished his goal step by step, thanks to his flexible policy and particular cultural actions. He supported various initiatives of Georgian society: on the one hand, he served the cause of colonizing the Caucasus and its complete integration into the Russian Empire and on the other hand, his activity favored the revival of cultural life in Tbilisi. M. Vorontsov was conducive to the rebirth of Georgian Theater in Tbilisi, setting up of educational institutions, founding of newspaper *Кавказ* (Caucasus), establishing of public library and Caucasian Geographic Society. In the years of Vorontsov's administration, intensive urban development of Tbilisi was initiated. They built the bridge of St. Michael (Vorontsov bridge), laid out a city square, etc. He practiced to send the children of local nobility to the Russian higher education institutions. Unlike other Russian functionaries, M. Vorontsov was characterized by his profound education, foresight and

მიხეილ ვორონცოვი. მხატვარი ჯორჯ დოუ
Михаил Воронцов. Художник Джордж Доу
Mikhail Vorontsov. Painter George Dou

მიხეილის (ვორონცოვის) ხიდი, გაკეთდა მოედანი; იგი თავად-აზნაურთა შვილებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გზავნიდა. მ. ვორონცოვი სხვა რუს მოხელეთაგან, გარდა განათლებითა და გამჭრიახობით, გარკვეული ლიბერალიზმითაც გამოირჩეოდა. არსებობს ე.წ. „თავად ვორონცოვის არქივი“, რომელშიც, სხვა მასალებთან ერთად, შემონახულია XIX ს. საქართველოს შესახებ ცნობები (დაცულია მოსკოვის, პეტერბურგის, ოდესის და სხვ. არქივებში).

1853 წელს მ. ვორონცოვმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადადგომა ითხოვა. მან თბილისი დატოვა.

მ. ვორონცოვი ოდესაში გარდაიცვალა. დაკრძალულია ოდესის ფერიცვალების კათედრალურ ტაძარში.

Воронцова получала образование в России. Не только образование и проницательность отличали М. Воронцова от других русских должностных лиц, но и определенный либерализм. В архивах Москвы, Петербурга, Одессы и др. городов хранится т. н. „Архив князя Воронцова“, содержащий, совместно с другими материалами и сведения о Грузии XIX в.

В 1853 г. М. Воронцов по состоянию здоровья подал в отставку и покинул Тбилиси.

Скончался М. Воронцов в Одессе. Похоронен там же, в кафедральном соборе Преображения.

certain liberalism. ‘Count Vorontsov’s Archive’ is kept at the archive-keeping offices of Moscow, Petersburg, Odessa and other places.

M. Vorontsov resigned in 1853 for health reasons and he left Tbilisi.

M. Vorontsov died in Odessa. He was buried at the Cathedral of Transfiguration in Odessa.

მ.ვორონცოვის ძეგლი თბილისში (იდგა 1922 წლამდე)
Памятник М. Воронцову в Тбилиси (стоял до 1922 г.)
Monument of M. Vorontsov in Tbilisi (monument stood till 1922)


БАКАЛЕЙНЫЙ МАГАЗИНЪ



ალბერტ და ალექსანდრე ზალცმანები
Альберт и Александр Зальцманы
Albert and Alxander Saltzman

1833-1897 • 1870-1919

ამა-შვილი, წარმოშობით გერმანელები. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოსახლებული ერთ-ერთი გერმანელი კოლონისტის თეოდორ ზალცმანის ოჯახის წევრები.

ალბერტი – არქიტექტორი. დაიბადა თბილისში. დაწყებითი განათლება აქვე მიიღო, სპეციალური – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მთელი მისი შემოქმედება საქართველოსთან არის დაკავშირებული. 1861 წელს სახელმწიფო სამშენებლო კომისიის წევრად აირჩიეს. 1865-66 წლებში იყო გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და ბელგიაში, სადაც დაპროექტების გამოცდილებას ეუფლებოდა. 1867 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ არქიტექტურის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. 1876 წელს ალბერტ ზალცმანი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის საოლქო საინჟინრო სამმართველოს არქიტექტორად. მოღვაწეობის 35 წლის განმავლობაში მან ბევრი შენობა ააგო თბილისში. იგი იმ არქიტექტორთაგანი იყო, რომლებმაც ქალაქის განაშენიანებას ახლებური ხასიათი მიანიჭეს, იმდროინდელ დასავლეთ ევროპაში მიღებული რენესანსულ-ბაროკოული ფასადებით. თუმცა ალბერტი შენობების ფასადების გაფორმებისას ქართული ტრადიციული არქიტექტურის მოტივებსაც იყენებდა (საცხოვრებელი სახლი, გ. ტაბიძის ქ. №22).

თბილისში ალბერტ ზალცმანის

Отец и сын, по происхождению немцы. Члены семьи немецкого колониста Теодора Зальцмана, в начале XIX в. приехавшего в Грузию.

Альберт – архитектор. Родился в Тбилиси. Начальное образование получил в Тбилиси, специальное – в Петербургской академии художеств. Его творчество полностью связано с Грузией. В 1861 г. был избран членом Государственной строительной комиссии. 1865-1866 годы провел в Германии, во Франции, Англии и Бельгии, где усвоил практику этих стран по проектированию. В 1867 г. Петербургская академия художеств удостоила его звания академика архитектуры. В 1976 г. А Зальцман был назначен архитектором Окружного инженерного управления Кавказского военного округа. На протяжении 35 лет деятельности по проектам А. Зальцмана в Тбилиси возведено много прекрасных зданий. Он был одним из тех архитекторов, которые распространенными в Западной Европе того времени ренессансно-барочными фасадами придали новый характер градостроительству, хотя при оформлении фасадов зданий А. Зальцман применял и мотивы грузинской традиционной архитектуры (жилой дом на ул. Г. Табидзе, №22).

По проектам А. Зальцмана в Тбилиси построены „Голубая галерея“ – Национальная художественная галерея (1868), Католическая церковь (ул. И. Джавахишвили, 1870), здание Кав-

Father and son, ethnic Germans. Members of the family of Theodor Saltzman, German colonist, who resettled in Georgia in the beginning of the 19th c.

Albert - architect. He was born in Tbilisi. There he received primary education; after that he underwent vocational training at the Petersburg Academy of Art. All his work was connected with Georgia. In 1861 he was elected the member of State Construction Commission. In 1865 – 1866 he visited France, England and Belgium, where he became familiar with the design work. In 1867 the Petersburg Academy of Art awarded him the title of the Academician of Architecture. In 1876 Albert was appointed the architect of Regional Engineering Department of the Caucasus Military Region. During 35 years of his work he designed many buildings in Tbilisi. He was one of the architects who imparted new quality to the urban development by designing the facades of Renascence-baroque style that prevailed in Western Europe. At the same time Albert incorporated the motifs of Georgian traditional architecture in decorating the facades of buildings (residential house on No.22 G. Tabidze str.).

Among the buildings that were built according to the designs of Albert Saltzman in Tbilisi, the following projects stand out: so-called 'Blue Gallery' – the National Picture Gallery (1868), The Catholic Church (on I. Javakhishvili str., 1870), the building of the Caucasus

1888 წ

პროექტებით აგებულ შენობათა შორის არის ე.წ. „ცისფერი გალერეა“ – სურათების ეროვნული გალერეა (1868), კათოლიკური ეკლესია (ი. ჯავახიშვილის ქუჩა, 1870), კავკასიის მუზეუმის შენობა (ს. ჯანაშიას სახ. ეროვნული მუზეუმის ახლანდ. შენობის ადგილას, 1870), წმ. ოლღას სახ. ქალთა გიმნაზიის შენობა (ახლანდ. ლ. გუდიაშვილის №10, 1874), სასტუმრო „ორიენტი“ (ყოფ. მხატვრის სახლი, 1895) და სხვ.; ასევე თბილისის არისტოკრატული და ბურჟუაზიული ფენების წარმომადგენელთა საცხოვრებელი სახლები, რომელთა გარკვეული ნაწილი დღეს დანგრეულია. ბორჯომში ა. ზალცმანის პროექტით არის აგებული ნ. იზმიროვას აგარაკი და მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის საზაფხულო სასახლე.

არქიტექტურა არ იყო ალბერტ ზალცმანის ერთადერთი გატაცება. შემონახულია მის მიერ აკვარელით შესრულებული არქიტექტურული პეიზაჟები, თეატრალური კოსტუმების ესკიზები (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში).

ალექსანდრე – მხატვარი, არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის შვილი. დაიბადა თბილისში. სწავლობდა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1892-1894 წლებში სწავლა მოსკოვში, ლეონიდ პასტერნაკის კერძო სამხატვრო სტუდიაში, განაგრძო. მალე მიუნხენში გაემგზავრა და გერმანელი სიმბოლისტის, ფრანც ფონ შტუკის სახელოსნოში დაიწყო სწავლა. 1916 წელს ალექსანდრე მეუღლესთან, ჟანა მატინიონთან ერთად დაბრუნდა თბილისში. ცხოვრობდა მიხეილის პრ. №115-ში (ახლანდ. დ. აღმაშენებლის პრ.) მამის, ალბერტ ზალცმანის მიერ შვილისთვის აგებულ სახლში. ალექსანდრე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენის მხატვრული გაფორმების ავტორია. 1918–1919 წლებში მან გააფორმა პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალბატონი“, ერნსტ ჰოფმანის „ზღაპრები“, დიმიტრი არაყიშვილის „ლეგენდა შოთა რუსთაველის შესახებ“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 1918 წელს ზიგა (ზიგმუნდ) ვალიშევსკისთან ერთად ალექსანდრემ დახატა ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა. მონაწილეობდა ამიერკავკასიის ხელოვნების გამოფენებში. ალექსანდრე ზალცმანის ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ალექსანდრე – მხატვარი, ალბერტ ზალცმანის შვილი. დაიბადა თბილისში. სწავლობდა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1892-1894 წლებში სწავლა მოსკოვში, ლეონიდ პასტერნაკის კერძო სამხატვრო სტუდიაში, განაგრძო. მალე მიუნხენში გაემგზავრა და გერმანელი სიმბოლისტის, ფრანც ფონ შტუკის სახელოსნოში დაიწყო სწავლა. 1916 წელს ალექსანდრე მეუღლესთან, ჟანა მატინიონთან ერთად დაბრუნდა თბილისში. ცხოვრობდა მიხეილის პრ. №115-ში (ახლანდ. დ. აღმაშენებლის პრ.) მამის, ალბერტ ზალცმანის მიერ შვილისთვის აგებულ სახლში. ალექსანდრე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენის მხატვრული გაფორმების ავტორია. 1918–1919 წლებში მან გააფორმა პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალბატონი“, ერნსტ ჰოფმანის „ზღაპრები“, დიმიტრი არაყიშვილის „ლეგენდა შოთა რუსთაველის შესახებ“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 1918 წელს ზიგა (ზიგმუნდ) ვალიშევსკისთან ერთად ალექსანდრემ დახატა ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა. მონაწილეობდა ამიერკავკასიის ხელოვნების გამოფენებში. ალექსანდრე ზალცმანის ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ალექსანდრე ზალცმანი
Александр Зальцман
Alexander Saltzman



რისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო; დიდი ხნის განმავლობაში ასწავლიდა ფერწერის სკოლაში. 1918-1919 წლებში მან მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები: პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ჟ. ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრები“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 1918 წელს ზიგა (ზიგმუნდ) ვალიშევსკისთან ერთად ალექსანდრემ შექმნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა. მონაწილეობდა „კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოებისა“ და „მალი კრუგის“ („малый круг“) გამოფენებში. იგი აქტიურად მონაწილეობდა 20-იანი წლების თბილისის ავანგარდულ სამხატვრო გამოფენებში.

1920 წელს ა. ზალცმანი და მისი მეუღლე პარიზში გადასახლდნენ.

ного общества изящных искусств“ и „Малого круга“, был активным участником тбилисских авангардных художественных выставок 20-х годов.

В 1920 г. Александр Зальцман с супругой переехали в Париж.

era and Ballet. He participated in the exhibitions of ‘The Society of the Caucasus for the Promotion of Fine Arts’ and ‘Maly Krug’ („малый круг“). In 1920s he took active part in the avant-garde artistic exhibitions in Tbilisi.

In 1920 Alexander Saltzman and his wife moved to Paris.

კათოლიკური ეკლესია. არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი
Католическая церковь. Архитектор Альберт Зальцман
Catholic Church. Architect Albert Saltzman





ჯირიღ და ილია ზდანევიჩები
Кирилл и Илья Зданевичи
Kirill and Ilia Zdanevich

1892–1969 • 1894–1975

ძმები, წარმოშობით პოლონელები. პოლონეთის 1863 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში გადმოსახლებული იმიგრანტის ოჯახიდან. მამა მიხეილ ზდანევიჩი თბილისის I გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი იყო, დედა – ვალენტინა გამყრელიძე – პიანისტი. ძმებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ნიკო ფიროსმანის სურათების აღმოჩენასა და შეგროვებაში.

ჯირიღ – ფერმწერი, გრაფიკოსი, ხელოვნების მკვლევარი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1969). სწავლობდა თბილისის I გიმნაზიაში, პარალელურად – ნ. სკლიფასოვსკის ფერწერისა და ხატვის სასწავლებელში. 1911 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1912 წლის ზაფხულის არდადეგებზე ჩამოსულმა კირილმა და მისმა ძმამ, ილიამ, თბილისში ჩამოიყვანეს ფრანგი მხატვარი მიშელ ლე-დანტიუ. სტუმარს ქალაქი დაათვალიერებინეს და ვაგზლის მოედანზე სამიკიტნო „ვარიაგის“ კედელზე წააწყდნენ უცნობი მხატვრის ნამუშევრებს. მათთვის უცნობი მხატვარი იყო ნიკო ფიროსმანაშვილი. მოძებნეს იგი და გაიცნეს. კირილმა შეაგროვა ფიროსმანის ნამუშევრები და 1916 წელს ზდანევიჩების სახლში მოეწყო ფიროსმანის პირველი გამოფენა. წარმოდგენილი იყო 50 ნახატი. გამოფენის მოწყობაში განსაკუთრებით აქტიურობდა

Братья, по происхождению поляки. Из семьи польских иммигрантов, переселившихся в Грузию после подавления польского восстания 1863 г. Отец – Михаил Зданевич преподавал французский язык в Тбилисской I гимназии, мать – Валентина Гамкрелидзе была пианисткой. Неоценима заслуга братьев в деле обнаружения и собирания полотен выдающегося грузинского живописца Нико Пиросмани.

Кирилл – живописец, график, исследователь искусства. Заслуженный деятель искусств Грузии (1969). Учился в Тбилисской I гимназии, параллельно — в училище рисования и живописи Н. Склифосовского. В 1911 г. поступил в Петербургскую художественную академию. Во время летних каникул 1912 г. вместе с братьями Зданевичами в Тбилиси приехал их товарищ, студент петербургской академии – француз Мишель Ле-Дантю. Во время прогулки по городу, на вокзальной площади их внимание привлекла вывеска трактира „Варяг“ и развешанные в трактире картины неизвестного художника. Неизвестным художником оказался Нико Пиросманашвили. Братья разыскали Пиросманашвили, познакомились с ним и Кирилл приступил к собиранию его разбросанных по трактирам картин. В 1916 г. в мастерской К. Зданевича открылась первая выставка работ Нико Пиросманашвили. Были выставлены 50 картин. В организации выставки

Zdanevich brothers – Kirill and Ilia – were descendants from the family of Polish immigrants, deported from Poland after the Polish uprising of 1863. Their father, Mikail Zdanevich, taught French language at the Tbilisi classical school №1; their mother, Valentina Gamkrelidze, was a pianist. Full credit must be given to Kirill and Ilia Zdanevichs for discovering and collecting Niko Pirosmani's paintings.

Kirill: painter, graphic artist, art researcher. Honored Art Worker of Georgia (1969). Concurrently with his training at the Tbilisi classical school №1, he studied at the school of painting named after N. Sklifosovsky. In 1911, he continued his studies at the Petersburg Academy of Arts. In 1912, during his vacations in Tbilisi, Kirill and his brother Ilia, hosted French painter Michel Le-Dantieu, whom they took sightseeing around the city. On the wall of the tavern 'Variag', located on the Railway Station Square, they came across the paintings of an unknown artist. The painter turned out to be Niko Pirosmanashvili. They found him and made his acquaintance. Kirill started collecting Pirosmani's works and in 1916, they arranged the first exhibition of Niko Pirosmani's paintings at the house of the Zdanevichs. The exhibition included 50 works created by Pirosmani. Ilia was most active in organizing the display of the pictures painted by the self-taught artist. In 1926, together with Titsian Tabidze, Kirill published the first

კირილ ზდანევიჩი
Кирилл Зданевич
Kirill Zdanevich

ილია. 1926 წელს კ. ზდანევიჩმა ტიციან ტაბიძესთან ერთად გამოსცა პირველი მონოგრაფია ნიკო ფიროსმანაშვილზე; ავტორია აგრეთვე ნარკვევებისა და სტატიებისა მხატვრის შესახებ (მონოგრაფიები 1963, 1964, 1965). თავის მიერ შეგროვებული ფიროსმანის სურათები კირილმა გადასცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

კ. ზდანევიჩი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. ბევრს მუშაობდა როგორც თეატრის მხატვარი. გაფორმებული აქვს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლები; მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშიც. ავტორია საინტერესო ფერწერული და გრაფიკული სურათებისა. გატაცებული იყო ფუტურიზმით, კუბიზმით, იმპრესიონიზმით და ა.შ., მაგრამ ყოველთვის თვითმყოფად მხატვრად რჩებოდა.

1949 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული კ. ზდანევიჩი ვორკუტაში გადაასახლეს. 1957 წელს ვადაზე ადრე გაათავისუფლეს და თბილისში დაბრუნდა.

კ. ზდანევიჩი თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ილია (ილიაზდი) – მწერალი, მხატვარი, პუბლიცისტი, გამომცემელი, ფუტურისტული მოძრაობის თეორეტიკოსი. 1911-1917 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. არდადაგებზე თბილისში ჩამოსული, ძმის — კირილსა და მხატვარ მ. ლე-დანტიუს მეშვეობით გაიცნო ნიკო ფიროსმანაშვილი, რომელმაც ილიას დაკვეთით დახატა მისი პორტრეტი. ეს ნამუშევარი შემდეგ ილიამ ფიროსმანის „ირემთან“ ერთად გამოფინა მოსკოვში, რათა ახალაღმოჩენილი მხატვარი გაეცნო

особенно активное участие принимал Илья. В 1926 г. К. Зданевич, совместно с поэтом Тицианом Табидзе, издал первую монографию о Нико Пиросманашвили. Он же автор очерков и статей о художнике (монографии 1963, 1964, 1965 гг.). Собранные картины Пиросмани К. Зданевич передал Государственному музею искусств Грузии.

К. Зданевич принимал активное участие в культурной жизни Тбилиси. Плодотворно работал как театральный художник, оформил спектакли Коте Марджанишвили, работал в Тбилисском театре оперы и балета. К. Зданевич, автор интересных живописных и графических картин, увлекался футуризмом, кубизмом, импрессионизмом и т. д., однако всегда оставался самобытным художником.

Репрессированный советской властью К. Зданевич в 1949 г. был сослан в Воркуту. В 1957 г. был досрочно освобожден и вернулся в Тбилиси.

Скончался К.Зданевич в Тбилиси. Похоронен в Дидубийском пантеоне.

Илья (Ильязд) – писатель, художник, публицист, издатель, теоретик футуристического движения. В 1911–1917 гг. учился в Петербургском университете. Приехав в Тбилиси в 1912 г. на летние каникулы, через брата Кирилла и французского художника М. Ле-Дантю познакомился с Нико Пиросманашвили, которому заказал нарисовать свой портрет. Этот портрет, вместе с картиной Н. Пиросманашвили „Олень“, Илья выставил в Москве, чтобы московской общественности представить „открытого“ Зданевичами художника. Статьи о Пиросманашвили И. Зданевич публиковал в газетах „Закавказская речь“ и „Восток“ (первый из них в 1914 г.). В 1913 г. Илья уехал в Париж и работал у Пикассо, который под впечатлением рассказ-

monograph on Niko Pirosmanashvili. He wrote a number of essays, articles and monographs (1963, 1964, 1965) about the self-educated Georgian painter. Kirill bequeathed his collection of Pirosmani paintings to the State Museum of Arts of Georgia.

K. Zdanevich was actively engaged in the cultural life of Tbilisi. He worked as a scenic painter. He designed the productions directed by K. Marjanishvili. Kirill worked in the Tbilisi Opera Theater as well. He was the author of diverse paintings and graphics. He was keen on Futurism, Cubism, Impressionism, etc; however, he never lost his original manner of self-expression.

In 1949, the Soviet authorities subjected him to repressions and exiled him to Vorkuta. In 1957 he was set free and he returned to Tbilisi.

Kirill Zdanevich died in Tbilisi. He was buried at Didube Pantheon.

Ilia (Iliazd): writer, artist, publicist, publisher, theoretician of Futuristic movement. In 1911 – 1917, he studied at the Petersburg University. Thanks to his brother Kirill and French artist M. Le-Dantieu, he got acquainted with Niko Pirosmanashvili, who painted Ilia's portrait on his order. Along with Pirosmani's *Deer*, Ilia exhibited this piece of work in Moscow, in order to acquaint the local elite with the newly discovered painter. Ilia published letters on Pirosmanashvili in the newspapers *Zakavkazskaya rech* and *Vostok*. (One of his first letters was dated by 1914). Ilia left for Paris in 1913, to master the art of painting. Impressed by Ilia's stories about Niko Pirosmanash-

მხატვარი კირილ ზდანევიჩი
Художник Кирилл Зданевич
Painter Kirill Zdanevich





იქაური საზოგადოებისათვის. ილიამ გაზეთებში „ზაკავკაზსკაია რეჩსა“ და „ვოსტოკში“ გამოაქვეყნა წერილები ფიროსმანაშვილის შესახებ (ერთ-ერთი პირველი წერილი 1914). 1913 წელს პარიზში ფერწერის შესასწავლად წასული ილია, წლების მანძილზე პიკასოსთან მუშაობდა. ფიროსმანაშვილზე ილიას მონათხრობის შთაბეჭდილებით პიკასომ შექმნა ქართველი მხატვრის წარმოსახვითი გრაფიკული პორტრეტი, რომელიც შესულია ი. ზდანევიჩის ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ნიკო ფიროსმანაშვილი, 1914“ (1972).

1917 წელს ილია მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთში მოწყობილ ექსპედიციაში, სადაც აზომა და ჩახატა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები. 1921 წელს ეს მასალა გამოიფინა პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში. 1921 წლის ილია პარიზს გაემგზავრა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ი. ზდანევიჩი პარიზში გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

занного Ильей о Пиросмани, написал воображаемый им графический портрет грузинского художника. Данный портрет вошел в книгу И. Зданевича на французском языке „Нико Пиросманашвили, 1914“ (1972).

В 1917 г. И. Зданевич принимал участие в экспедиции Еквтиме Такаишвили в Тао-Кларджети, во время которой он обмерил и сделал зарисовки с древнегрузинских архитектурных памятников. Весь этот материал в 1921 г. был выставлен в Париже, в музее декоративного искусства. С 1921 г. И. Зданевич жил во Франции.

И. Зданевич скончался в Париже. Похоронен на кладбище грузин в Левиле.

vili, Pablo Picasso drew an imaginary graphic portrait of the Georgian artist, which was included in the book by I. Zdanevich - *Niko Pirosmanashvili*, published in the French language (1914, 1972).

In 1917, Ilia participated in the expedition to Tao-Klarjeti, organized by E. Takaishvili; there he made measurements and sketches of Georgian architectural monuments. In 1921, these materials were exhibited at the Museum of Decorative Art in Paris. In 1921, Ilia moved to Paris and stayed there.


Ilia Zdanevich died in Paris. He was buried at the Georgian cemetery in Leuville.

ილია ზდანევიჩი
Илья Зданевич
Ilia Zdanevich










მხატვარი ილია ზდანევიჩი
Художник Илья Зданевич
Painter Ilia Zdanevich

ილია ზდანევიჩი და პიკასო
Илья Зданевич и Пикассо
Ilia Zdanevich and Picasso





ევგენი ზემელი
Евгений Земель
Eugene Zemel

1858-1922

გერმანელი პროვიზორი. ნამდვილი სახელი – იულიუს იოჰან ზემელი. უძველესი გერმანული გვარის შთამომავალი. ზემელების საგვარეულო ღერბი 1206 წლით თარიღდება და დედანი ამ გერბისა ქ. ნიუნბერგში ინახება. დაიბადა ჰოლანდიაში, ქ. გრონინგენში. სწავლობდა გიმნაზიაში, თუმცა მეოთხე კლასიდან სწავლას თავი დაანება და 1876 წელს სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც აფთიაქარის თანაშემწის წოდება მოიპოვა. 1881 წელს ე. ზემელი თბილისში ჩამოვიდა და თბილისის ერთ-ერთ უძველეს, მედიცინის დოქტორ შახპორიანცის აფთიაქში დაიწყო მუშაობა, შემდეგ – თბილისის სამკურნალო დაწესებულების აფთიაქში. 1883 წელს მუშაობას თავი დაანება, მოსკოვს გაემგზავრა და მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1884 წელს მიანიჭა პროვიზორის ხარისხი. 1885 წლის მიწურულს თბილისში დაბრუნდა და ისევ სამკურნალო დაწესებულების აფთიაქში დაიწყო მუშაობა. 1898 წელს თბილისის ხელმძღვანელობამ ნება დართო ოლღას ქუჩისა (ახლანდ. მ. კოსტავას) და ვერის დაღმართის (ახლანდ. მ. ჯავახიშვილის ქ.) კუთხეში გაეხსნა აფთიაქი. გარდა აფთიაქისა, ზემელს ჰქონდა მცირე საწარმო, სადაც ხილის წვენის სასმელებს ამზადებდა. აფთიაქის შენობა ოვალური ფორმისა იყო, თვით აფთიაქარიც ამ შენობაში

Немецкий провизор. Настоящее имя – Юлиус Иоганн Земель. Потомок древнейшей фамилии, копия герба которой, датированная 1206 г., хранится в г. Нюнберге. Е. Земель родился в Голландии, в г. Гронингене. Учился в гимназии, но с четвертого класса оставив учебу, в 1976 г. поехал в Санкт-Петербург, где получил звание помощника аптекаря. В 1881 г. Е. Земель приехал в Тбилиси и поступил на работу в одну из старейших городских аптек доктора медицины Шахпорянца, а затем в тбилисскую аптеку лечебного заведения. В 1883 г. оставив работу в Тбилиси, поступил учиться на медицинский факультет Московского университета. В 1884 г. научный совет университета присвоил ему степень провизора. К концу 1885 г. Е. Земель вернулся в Тбилиси на свое прежнее место работы в аптеке лечебного заведения. В 1898 г. власти города дали ему разрешение на открытие аптеки на углу Ольгинской (ныне ул. М. Костава) улицы и Верийского спуска (ныне ул. М. Джавахишвили). Кроме аптеки, Земель открыл малое предприятие фруктовых соков. Сам жил там же, в здании аптеки овальной формы. В течение 23 лет руководил Е. Земель этой аптекой, которая в то время была одним из главных объектов снабжения населения города лекарственными препаратами. Популярности аптеки способствовало и то, что аптекарь платил деньги ватманам трамваев за то, чтобы они на

German pharmacist. His bona fide name was Julius Iohann Zemel. He was the descendant of an old German family. His familial coat of arms is dated by 1206 and the original insignia is kept in Nurnberg, Germany. Born in Groningen, the Netherlands. There he studied at a local classical school; however, after reaching the 4th grade, he left the school and in 1876, he departed to St. Petersburg, where he received the status of pharmacist's assistant. In 1881 E. Zemel arrived in Georgia and found work at the oldest chemist's shop of Tbilisi, belonging to Doctor Shakhporiants, MD. Later he moved to the new working place – the chemist's shop of a Tbilisi clinic. In 1883, he moved to Moscow and entered the Medical Faculty of the Moscow University. In 1884 the academic council of the university awarded him the grade of a pharmacist. At the end of 1885 E. Zemel returned to Tbilisi and resumed his work at the chemist's shop of the clinic. In 1898, the city administration granted him the permission to open a chemist's shop at the corner of Olga Street (current M. Kostava Str.) and Vere Downslope (present-day M. Javakhishvili Str.). Apart from the drugstore, E. Zemel had a small enterprise where he poduced soft drinks made of fruit juice. The chemist's shop had an oval shape and E. Zemel lived in the building of his own drugstore. For 23 years, E. Zemel ran the drugstore, which developed into a main provider of Tbilisians with medical remedies. The

ცხოვრობდა. 23 წელი ხელმძღვანელობდა ზემელი ამ აფთიაქს, რომელიც იმ დროისათვის თბილისში მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების ერთ-ერთი მძლავრი ობიექტი ყოფილა. აფთიაქის პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ე. ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის ვატმანებს, აფთიაქთან გაჩერებისას ეყვირათ – „ზემელი, ზემელი“. დღეს ეს შენობა აღარ არსებობს – XX ს. 30-იან წლებში ის რუსთაველის მოედნის გაფართოებასთან დაკავშირებით აიღეს. მოგვიანებით იმავე ადგილას გაიხსნა სხვა აფთიაქი, რომელსაც ტრადიციით კვლავ ზემელის აფთიაქს უწოდებდნენ. ამ მიკროუბანს თბილისელები დღესაც ზემელად მოიხსენიებენ.

ე. ზემელი თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია გერმანელების სასაფლაოზე.

остановке у аптеки кричали: „Земель, Земель“. Здание аптеки снесли в 30-е годы XX в. в связи с реконструкцией площади Руставели. Позже на том самом месте была открыта другая аптека, по традиции именуемая аптекой Земеля. За этим кварталом так и закрепилось название „Земель“ – тбилисцы иначе его не упоминают.

Скончался Е. Земель в Тбилиси. Похоронен на немецком кладбище.

popularity of the drugstore scaled up, when its owner started to pay money to the tram drivers, who used to call out – ‘Zemel! Zemel!’ – when they stopped the tram at Zemel’s pharmacy shop. Today, there is no building in Vere district, which used to belong to E. Zemel. In 1930s it was demolished in connection with the expansion of Rustaveli Square. Later, a new drugstore was opened at the place, where the old one used to be. By tradition, people referred to the new chemist’s shop as Zemel’s drugstore. Even today, the entire neighborhood is called ‘Zemel’ by Tbilisians.

ზემელის აფთიაქი
Аптека Земеля
Pharmacy of Zemel





მიხაი ზიჩი
Михай Зичи
Mihály Zichy

1827-1906

უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1847), საიმპერატორო კარის მხატვარი (1859-იდან). დაიბადა უნგრეთში, სოფ. ზალაში. სწავლობდა ბუდაპეშტის უნივერსიტეტში. 1842 წლიდან ფერწერას სწავლობდა პეშტში იტალიელ მხატვარ ი. მარასტონისთან, ხოლო 1843 წლიდან — ვენაში ფ.-გ. ვალდმიულერის ხელმძღვანელობით. 1881 წლის შემოდგომაზე მ. ზიჩი თბილისში ჩამოვიდა. მისი მიზანი, როგორც იუწყებოდა გაზეთი „დროება“ (1881, №220), იყო შეესწავლა ქართველთა ტიპები და საქართველოს ბუნება მ. ლერმონტოვის პოემა „დემონის“ გასაფორმებლად. მ. ზიჩი დაუახლოვდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ქართველ მოღვაწეთა შთაგონებით ხელი მოჰკიდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათების დადგმას. თითოეული ცოცხალი სურათისათვის (სულ 11 სურათი) ზიჩიმ წინასწარ გააკეთა სიუჟეტურ სცენართა ჩანახატები, პერსონაჟთა ესკიზები (დაცულია ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში). 1882 წლის 6 თებერვალს თბილისში, საზაფხულო თეატრში, მ. ზიჩიმ წარმოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმა. იგივე ცოცხალი სურათები 1882 წლის მაისში დაიდგა ქუთაისშიც. 1884 წელს იონა მეუნარგიამ თავის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი მ. ზიჩის პეტერ-

Венгерский живописец и график. Академик Петербургской академии наук (1847), придворный художник императора (с 1859 г.). Родился в Венгрии, в с. Зала. Учился в Будапештском университете. В 1842 г. в Пеште осваивал мастерство живописи у итальянского художника И. Марастони, а с 1843 г. – в Вене под руководством Ф.-Г. Вальдмюллера. Осенью 1881 г. М. Зичи приехал в Тбилиси. Как сообщала газета „Дроеба“ (1881, №220), он имел намерение изучить типаж грузин и природу Грузии для оформления поэмы М. Лермонтова „Демон“. Художник установил близкие контакты с представителями грузинской интеллигенции, которые воодушевили его поставить живые картины по поэме Шота Руставели „Витязь в тигровой шкуре“. К каждой картине (их было 11) заранее были сделаны зарисовки сюжетных сцен и эскизы персонажей (хранятся в Национальном музее искусства). 6 февраля 1882 г. М. Зичи в Летнем театре города представил тбилисскому зрителю постановку живых картин по поэме Шота Руставели. Постановка живых картин была осуществлена и в Кутаиси в мае 1882 г. Для создания иллюстраций к предстоящему изданию поэмы Шота Руставели, грузинский общественный деятель Иона Меунаргия в 1884 г. переслал М. Зичи в Петербург полный текст поэмы в собственном переводе на французский язык. Вместо заказанных 14 эскизов художник прислал 37,

Hungarian painter and graphic artist. Academician of the Petersburg Academy of Art (1847), painter at the Russian Imperial Court (as of 1859). Born in the village of Zala, Hungary. He studied at the Budapest University. From 1842 onwards he attended the school of Italian painter J. Marastoni in Pest; As of 1843 he mastered painting under F.-G. Waldmüller in Vienna. In autumn of 1843 M. Zichy arrived in Tbilisi. As Georgian newspaper '*Droeba*' (1881, No.220) wrote, he intended to study the types of Georgians and Georgian nature for his upcoming illustrations of *Demon*, the poem by M. Lermontov. M. Zichy became friends with Georgian intellectuals and following the advice of Georgian men of arts, he undertook staging of so called 'Picture Pages' from *The Man In the Panther's Skin* by Sh. Rustaveli. For every Picture Page (11 pictures in all) Zichy made preliminary storyline sketches and outlines of protagonists (they are preserved at the National Art Museum of Georgia). On February 6, 1882, at the Summer Theater of Tbilisi, M. Zichy presented the picture-page show based on Rustaveli's *The Man in the Panther's Skin*. The same live-picture show was performed in Kutaisi in May of 1882. In 1884 Georgian public figure Iona Meunargia forwarded his full French-language translation of *The Man in the Panther's* skin to M. Zichy, who was residing in Petersburg. I. Meunargia's endeavor was connected with the fact that the Literary Society

ბურგში გადაუგზავნა პოემის მომავალი, 1888 წლის გამოცემისათვის ილუსტრაციების შესაქმნელად. შეუკვეთეს 14 ესკიზი, მხატვარმა 34 გამოაგზავნა. საგამომცემლო კომისიამ 27 ესკიზი შეარჩია. ეს ნამუშევრები (ინახება ეროვნულ მუზეუმში) მ. ზიჩიმ უსასყიდლოდ გადასცა ქართველ ხალხს. 1888 წლის გაზაფხულზე ქართველობამ მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული, მ. ზიჩის სურათებით გაფორმებული ე.წ. ქართველიშვილისეული გამოცემა.

1888 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მ. ზიჩი მეორედ ეწვია საქართველოს, შექმნა ქართული თემატიკის ამსახველი რამდენიმე ახალი ტილო.

მ. ზიჩი პეტერბურგში გარდაიცვალა, დაკრძალულია ბუდაპეშტში, კერეპეშის სასაფლაოზე.

из которых издательской комиссией были отобраны 27 эскизов. М. Зичи передал эскизы грузинскому народу безвозмездно (хранятся в Национальном музее искусства). На альбоме надпись от руки художника: „Тифлисскому литературному обществу. В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу“. Весной 1888 г. вышло в свет богато оформленное иллюстрациями М. Зичи издание „Витязя в тигровой шкуре“.

В сентябре-октябре 1888 г. М. Зичи вторично посетил Грузию, создав несколько полотен на грузинскую тематику.

Скончался М. Зичи в Петербурге. Похоронен в Будапеште, на Керепешинском кладбище.

of Tbilisi had placed an order with V. Zichy on drawing illustrations for edition (1888) of Sh. Rustaveli's epic poem. The Literary Society had ordered 14 sketches; however, M. Zichy sent them 34 sketches. The Publishing Commission selected 27 drafts (they are preserved at the National Museum of Georgia). M. Zichy fulfilled the order for the illustrations free of charge. In spring of 1888 Georgian public received a luxurious, so – called 'Kartvelishvil edition' of *The Man in the Panther's Skin*, illustrated by M. Zichy.

In September – October of 1888 M. Zichy visited Georgia for the second time and painted several new pictures on Georgian subject matter.

M. Zichy died in Petersburg. He was buried at the Kerepesi cemetery in Budapest.

შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია
Иллюстрация к поэме Шота Руставели "Витязь в тигровой шкуре"
Illustration of the Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin"





ჰინხარდ კარლ ზომერი
Рихард-Карл Зоммер
Rihard-Karl Zommer

1866-1939

გერმანელი ფერმწერი, გრაფიკოსი. დაიბადა მიუნხენში. 1893 წელს დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემია. 1890-1900 წლებში მუშაობდა შუა აზიაში, ამავე წლებში პირველად ჩამოვიდა საქართველოში (ჩამოჰყვა არქეოლოგიურ ექსპედიციას), 1912 წლიდან კი თბილისში დასახლდა. ამავე დროს მოღვაწეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. თბილისში დაიწყო მუშაობა ხატვის მასწავლებლად. ცნობილია, რომ მისი მოსწავლე იყო ლადო გუდიაშვილი. რ. ზომერი იყო თბილისში კავკასიის ნატიფ ხელოვნებათა საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი და დამაარსებელი. მოიარა თითქმის მთელი საქართველო; ქმნიდა ძირითადად ეთნოგრაფიული ხასიათის ნამუშევრებს – პორტრეტებს, ყოფით და ბატალურ სცენებს, არქიტექტურული ძეგლების პეიზაჟებს („ძველი თბილისი“, „სვანი ქალი“, „გურული ტიპები“, „გრემი“ „ვაშლის გამყიდველი“). მისი ფერწერული ტილოები დაცულია კერძო კოლექციებში, ი. გრიშაშვილის სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. აღსანიშნავია თბილისის ამსახველი ტილოები: „შაჰ-ისმაილის მეჩეთი“, „მეტეხის ხიდი“ და „საბაზრო სცენა“.

საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული რ. ზომერი გადასახლებაში გარდაიცვალა, სავარაუდოდ, 1939 წელს.

Немецкий художник, график. Родился в Мюнхене. В 1893 г. окончил Петербургскую Императорскую художественную академию. В 1890–1900 гг. работал в Средней Азии. В эти же годы, вместе с археологической экспедицией, впервые приехал в Грузию, а с 1912 г. поселился в Тбилиси. Одновременно работал в Армении и в Азербайджане. В Тбилиси давал уроки рисования. Как известно, его учеником был выдающийся грузинский художник Ладо Гудиашвили. Р. Зоммер был одним из организаторов и основателей Общества изящных искусств в Тбилиси. Объездил почти всю Грузию; рисовал в основном этнографического характера картины – портреты, бытовые и батальные сцены, пейзажи с архитектурными памятниками („Старый Тбилиси“, „Сванка“, „Типажи гурийцев“, „Греми“, „Продавец яблок“). Полотна Р. Заммера хранятся у личных коллекционеров, в Этнографическом музее им. И. Гришашвили и Национальном музее искусств Грузии. Из полотен, изображающих сцены тбилисской жизни, нужно отметить „Мечеть Шаха-исмаила“, „Метехский мост“ и „Сцена на базаре“.

Р. Зоммер был репрессирован Советской властью. Скончался в ссылке, предположительно в 1939 году.

German painter and graphic artist. He was born in Munich. In 1893 he graduated from the Petersburg Imperial Academy of Art. In 1890 – 1900 he worked in Central Asia; during those years he visited Georgia for the first time (he accompanied an archeological expedition). In 1912 he settled in Tbilisi, where he worked as a teacher of drawing. At the same time he was employed in Armenia and Azerbaijan. It is known that Lado Gudiashvili, the outstanding Georgian painter was his pupil. Zommer was one of the initiators and founders of the Caucasian Society of Fine Arts in Tbilisi. He has traveled throughout almost all Georgia, doing paintings and drawings of the country's everyday life, battle scenes, landscapes of architectural monuments *(Old Tbilisi, Svanetian Woman, Dwellers of Guria, Gremi, Vendor of Apples)*. His paintings are preserved at private collections, State Ethnographic Museum named after I. Grishashvili and National Museum of Georgia. Among his paintings, which depict Tbilisi, should be mentioned: *The Mosque of Shah-Ismail, The Metekhi Bridge and the Bazaar Scene.*

R. Zommer fell victim to the political repressions of the Soviet regime and died in exile, presumably, in 1939.



არტურ გუნდაჯარ და ბერტა ფონ ზუტნერები
Артур Гундакар и Берта фон Зутнеры
Arthur Gundaccar and Bertha von Suttner

1850-1902 • 1843-1914

ავსტრიელი მწერლები, ცოლ-ქმარი. 1876-1885 წლებში საქართველოში ცხოვრობდნენ. ბერტა ზუტნერს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ეკატერინე ჭავჭავაძესთან, სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის ქვრივთან. დადიანების ოჯახის მოწვევით ცოლ-ქმარი საქართველოში ჩამოვიდა. **არტურ ზუტნერმა** თითქმის მთელი თავისი შემოქმედება საქართველოს მიუძღვნა: რომანები „დარეჯანი“ (1896), „აზნაური“ (1886), „ჩერქეზები“ (1898), „შამილი“ (1890); მოთხრობა „კავკასიის შვილები“. 1884 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც ქართულმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს. ეს იყო უცხოელი ავტორის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი რუსთაველის შესახებ. ა. ზუტნერს ეკუთვნის აგრეთვე მუსიკალური ნაწარმოებები საქართველოს თემაზე.

ბერტა ზუტნერმა (გათხოვებამდე გრაფინია კინსკი) საქართველოში მიიღო სამწერლო ნათლობა. პირველი ნაწარმოები „ერთი სულის აღწერა“ (1883) გამოაქვეყნა ფსევდონიმით Onlot. ვენაში დაბრუნებული, სამშვიდობო მოძრაობის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი და პროპაგანდისტი გახდა.

Австрийские писатели, муж и жена. В 1876–1885 гг. жили в Грузии. У Берты Зутнер сложились дружеские отношения с Екатериной Чавчавадзе, вдовой правителя Самегрело Давида Дадиани. В Грузию Зутнеры приехали по приглашению семьи Дадиани. Почти все свое творчество **Артур Зутнер** посвятил Грузии – романы: „Дареджан“ (1896), „Дворянин“ (1886), „Черкесы“ (1898), „Шамиль“ (1890); рассказ „Дети Кавказа“. В 1884 г. в газете „Кавказ“ опубликовал серию статей о „Витязе в тигровой шкуре“, которые перепечатали и грузиноязычные газеты. Эти статьи были одними из первых работ иностранного автора о творчестве Шота Руставели. А. Зутнер является автором и музыкальных произведений на грузинскую тему.

Берта Зутнер (урожденная графиня Кинская) как писательница, проявила себя в Грузии. Первое ее произведение „Опись одной души“ (1883) вышло под псевдонимом Onlot. После возвращения в Вену стала инициатором и пропагандисткой движения за мир. Прославилась пацифистским романом „Долой оружие“ (1889). В 1905 г. за пацифистскую деятельность ей была присвоена Нобелевская премия мира – первая из женщин, получившая столь высокую награду в этой

Austrian writers, a married couple. In 1876-1885 they lived in Georgia. Bertha was on friendly terms with Ekaterine Chavchavadze, the widow of Davit Dadiani, Prince of Samegrelo. The couple arrived in Georgia on the invitation of the Dadiani family.

Almost entire creative work of **Arthur Suttner** was related to Georgia: novels - *Darejan* (1896), *Nobleman* (1886), *Circassians* (1898), *Shamil* (1890) and stories – *Sons of the Caucasus*. In 1884, in the newspaper *Kavkaz,* he published a series of essays on *The Man in the Panther's Skin*, which was reprinted by Georgian-language newspapers. It was one of the first philological works by a foreign author regarding Shota Rustaveli's epic poem. In addition, A. Suttner wrote a musical composition on the theme of Georgia.

Bertha Suttner (her maiden name was countess Kinsky) took her first steps in literature in Georgia. Her first literary work *Record of One Soul* was published under a pen-name *Onlot*. Upon returning to Vienna, she grew to be one of the first initiators and promoters of the peace movement. She gained popularity with her pacifist novel *Lay Down Your Arms*! (1889). In 1905 she was awarded the Nobel Peace Prize. She was the first woman who has received



სახელი გაითქვა პაციფისტური რომანით „ძირს იარაღი“ (1889). 1905 წელს მიეკუთვნა ნობელის მშვიდობის პრემია. იგი იყო მსოფლიოში პირველი ქალი, ვინც ამ ნომინაციაში დაიმსახურა ნობელის პრემია. 1909 წელს გამოაქვეყნა „მემუარები“, რომლის ერთ-ერთი თავიც საქართველოს ეძღვნება.

номинации. В 1909 г. вышла в свет ее книга „Мемуары“, одна из глав которой посвящена Грузии.

the Nobel Prize in the said nomination. In 1909 she published *Memoirs*. One chapter in the book of her life story is related to Georgia.

ბერტა ფონ ზუტნერი
Берта фон Зутнер
Bertha von Suttner



ჰოვანეს თუმანიანი
Ованес Туманян
Hovhannes Tumanyan

1869–1923

სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა სოფ. დსეღში (ლორეს მაზრა, ახლანდ. თუმანიანის რაიონი). დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ჯალალოღლის (ახლანდ. სტეფანავანი) ოთხკლასიან სასწავლებელში. 14 წლისა მამასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და ნერსესის სემინარიაში განაგრძო სწავლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა და თვითგანვითარებას მიჰყო ხელი. თავიდან ცხოვრობდა ბებუთოვის (ახლანდ. ლადო ასათიანის) ქუჩაზე, ხოლო შემდეგ 1904 წლიდან – ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქუჩაზე. მის სახლში, ამ ერთგვარ ლიტერატურულ სალონში, თავს იყრიდნენ თბილისის ქართული და სომხური ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ სახლს (№18) დღესაც თუმანიანის სახლს უწოდებენ.

ჰ. თუმანიანის ნაწარმოებებში ასახულია სომეხი ხალხის ზნე-ჩვეულებები, მისი წარსული და აწმყო, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა და მეგობრობა. იგი მრავალმხრივი შემოქმედი იყო: წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ზღაპრებსა და იგავებს. საუკეთესო პოემებია „მარო“ (1887), „ანუში“ (1890), „თმოგვის ციხის აღება“ (1902), „დავით სასუნცი“ (1902) და სხვ.; ზღაპარი „ერთი წვეთი თაფლი“ (1909), მოთხრობა „გიქორი“ (1895), ლექსები: „საქართველოს შესახებ“ (1916), „საქართველოს სული“ (1919), „საქართველოს პოეტებს“ (1919) და მრავალი სხვა.

ჰ. თუმანიანი მოსკოვში გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, სომეხ მოღვაწეთა პანთეონში.

Армянский писатель и общественный деятель. Родился в Армении, в с. Дсехе (Лорийский уезд, ныне Туманянский район). Начальное образование получил в деревне, затем учился в четырехлетнем училище Джалалоглы (ныне Степанаван). В возрасте 14 лет вместе с отцом приехал в Тбилиси, где поступил в семинарию Нерсеса, но несостоятельность вынудила бросить учебу и заняться самообразованием. Сначала жил на Бебутовской улице (ныне ул. Ладо Асатиани), а с 1904 г. на Вознесенской (бывшая Давиташвили) улице, д. №18. Квартира О. Туманяна представляла собой своеобразный литературный салон, где собирались представители тбилисской грузинской и армянской интеллигенции. Этот дом и по сей день известен, как дом Туманяна.

О. Туманян в своих произведениях изображал жизнь, традиции и обычаи армянского народа, его прошлое и настоящее, взаимосвязь и дружбу грузинского и армянского народов. Будучи многогранным деятелем, писал стихи, поэмы, рассказы, сказки и басни. Среди лучших произведений поэмы: „Маро“ (1887), „Ануш“ (1890), „Взятие Тмогвской крепости“ (1902), „Давид Сасунский“ (1902). Его перу принадлежат сказка „Капля меда“ (1909), рассказ „Гикор“ (1895), стихи: „О Грузии“ (1916), „Дух Грузии“ (1919), „Поэтам Грузии“ (1919) и др.

Скончался О. Туманян в Москве. Похоронен в Тбилиси, в Пантеоне армянских деятелей.

Armenian writer and public figure. He was born in a small village of Dsegh in the Lori region (present-day Tumanyan Region), Armenia. He received primary education at the village parochial school, then he attended a school in Jalaloghly (present-day Stepanavan). At the age of 14, together with his father, he moved to Tbilisi to continue his studies at the Nersisyan theological seminary; however, owing to the money crunch, he was unable to finish the seminary and he resorted to self-education. At first, he lived on Bebutov street (present-day Lado Asatiani street in Tbilisi), later, as of 1904, on Ascension street (former Davitashvili street). Representatives of Georgian and Armenian intellectuals of Tbilisi used to gather at Tumanyan's house, which fulfilled the function of a literary salon. Even today, the house is called 'Tumanyan's House'.

In his works H. Tumanyan depicted everyday existence and customs of Armenian people, their past and contemporaneous life, friendly links of Georgian and Armenian people. He wrote verses, poems, stories, tales and fables. His best works are: poems - *Maro* (1887), *Anush* (1890), *Capture of Tmogvi Fortress* (1902), *Davit Sasunts* (1902), tale – *A Drop of Honey* (1909), story – *Giqor* (1895), verses – *About Georgia* (1916), *Spirit of Georgia* (1919), *To the Poets of Georgia* (1919) and many more.

H. Tumanyan died in Moscow. He is buried in Tbilisi.



მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვი (ივანოვი)
Михаил Ипполитов-Иванов (Иванов)
Mikhail Ippolitov-Ivanov (Ivanov)

1859–1935

რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. დაიბადა გატჩინაში (რუსეთი). დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია (1882, ნ. რიმსკი-კორსაკოვის საკომპოზიციო კლასი). 1882-1893 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. იყო რუსული მუსიკალური საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა და თბილისის მუსიკალური სასწავლებლის ხელმძღვანელი (ასწავლიდა მუსიკის თეორიასა და ისტორიას. შემდეგ ამ სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა თბილისის კონსერვატორია). მისი მოსწავლეები იყვნენ ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. მ. იპოლიტოვ-ივანოვი თბილისში აწყობდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, რომლებსაც თვითონ დირიჟორობდა. 1884-1893 წლებში იყო თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორი. აქვე წარმატებით გამოდიოდა მისი მეუღლე, მომღერალი ვარვარა ზარუდნაია. მ. იპოლიტოვ-ივანოვი იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი პირველი შემკრები და გამომცემელი. ქართული ხალხური მელოდიების კვალი ჩანს მის შემოქმედებაში – სიუიტებში, სიმფონიურ პოემაში და სხვ. ქართულ ხალხურ სიმღერას მიუძღვნა ნაშრომი „ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა“ (1895); ღვაწლი მიუძღვის ქართული საეკლესიო

Русский композитор, дирижер, педагог. Родился в Гатчине (Россия). Окончил Петербургскую академию (1832, по классу композиции Н. Римского-Корсакова). В 1882-1893 гг. жил и работал в Тбилиси. Неоценима его заслуга в развитии грузинской профессиональной музыкальной культуры. М. Ипполитов-Иванов возглавлял Грузинское отделение Русского музыкального общества и Тифлисское музыкальное училище (преподавал теорию и историю музыки. В последствии на базе этого училища была создана Тбилисская консерватория). Его учениками были видные деятели грузинской культуры Захария Палиашвили и Димитри Аракишвили. М. Ипполитов-Иванов в Тбилиси устраивал концерты симфонической музыки, на которых выступал как дирижер. В 1884–1893 гг. был дирижером Тбилисского оперного театра, на сцене которого успешно выступала его супруга, певица Варвара Зарудная. М. Ипполитов-Иванов был одним из первых собирателей и издателей грузинского музыкального фольклора. Грузинские народные мотивы звучат в его сюитах, симфонической поэме, и в целом, в его творчестве. Грузинской народной песне посвятил он труд: „Грузинская народная песня и ее настоящее состояние“ (1895); внес важный вклад в дело нотации грузинских церковных песнопений. На сцене оперного театра были осуществлены постановки опер М. Ипполитова-Иванова: „Руфь“

Russian composer, conductor, teacher. Born in Gatchina, Russia. In 1882 he graduated from the Petersburg Conservatoire (N. Rimsky-Korsakov's class of compositions). In 1882 – 1892 he lived and worked in Tbilisi. He greatly contributed to the advance of Georgian professional musical culture. He supervised the Georgian branch of Russian Musical Society and Tbilisi Musical School, where he taught the theory and history of music. Later, Tbilisi Conservatoire was founded on the basis of the said music school. His disciples were Zakaria Paliashvili and Dimitri Arakishvili. M. Ippolitov-Ivanov arranged and conducted concerts of symphonic music in Tbilisi. In 1884 – 1893 he was the conductor of Tbilisi Theater of Opera and Ballet. His wife, singer Varvara Zarudnaya gave successful performances in the same theater. M. Ippolitov-Ivanov was one of the first collectors and publishers of Georgian musical folklore. The traces of Georgian folk melodies are visible in his works – in his suites, his symphonic poem, etc. He devoted his research *Georgian Folk Song and Its Present State* to the Georgian folk songs (1895); he also contributed to putting down the notes of Georgian liturgical chants. M. Ippolitov-Ivanov's operas *Ruth* (1887), *Azra* (1890), *Asya* (1900), *Treason* (based on the drama by A. Sumbatashvili-Yuzhin) were staged at Tbilisi Theater of Opera.

In 1903 M. Ippolitov-Ivanov was invited to work at the Moscow Conserva-

საგალობლების ნოტებზე გადატანაში. მ.იპოლიტოვ-ივანოვის ოპერებიდან თბილისში დაიდგა „რუთი“ (1887), „აზრა“ (1890), „ასია“ (1900), „ღალატი“ (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით, დაიდგა რამდენჯერმე).

1893 წელს მ. იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვის კონსერვატორიაში მიიწვიეს სამუშაოდ, სადაც მან ბრწყინვალე შემოქმედებითი გზა განვლო: კონსერვატორიის პროფესორობიდან – კონსერვატორიის რექტორობამდე და სრულიად რუსეთის მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეობამდე. თუმცა, ხანდაზმულს საქართველოში გატარებული წლების ნოსტალგია მოეძალა და დათანხმდა თბილისის კონსერვატორიის მაშინდელი დირექტორის, ნ. ჩერეპინის, წინადადებას, თბილისში დაბრუნებულიყო. 1924 წელს მ. იპოლიტოვ-ივანოვი მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. აქ იგი 1924-1925 წლებში თბილისის კონსერვატორიის რექტორი იყო.

მ. იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვში გარდაიცვალა.

(1890), „Ася“ (1900), „Измена“ (по одноименной драме А. Сумбаташвили-Южина, несколько постановок).

Notable part of M. Lermontov's works was devoted to Georgia (poems *Georgian Song, Gift of the Terek, Appointment, Tamar*). Georgia served as a background in his long poem *Mtsyri* (1839). After his arrival in Georgia, M. Lermontov revised the storyline of his long poem *Demon*: he incorporated Georgian legends in the poem, created the image of Tamar, a Georgian woman. The plot of his novel *A Hero of Our Time* unfolds in the North Caucasus. A number of M. Lermontov's drawings display the places of interest of Tbilisi: *The Square with the view of Metekhi Bridge, Women dancing on the Patio, Metekhi Citadel,* etc.

In 1840, M. Lermontov was exiled again, this time – to the North Caucasus. In 1841, in Pyatigorsk, M. Lermontov got into an argument with Major N. Martinov, which proved fatal for the poet: Martinov challenged him to a duel and killed him.

M. Lermontov was buried in the village of Tarkhany, Russia.

მ. ლერმონტოვი. მოქანდაკე ა. მჭედლიშვილი
М. Лермонтов. Скульптор А. Мчедлишвили
Lermontov. Sculptor A. Mchedlishvili




1888

მიხეილ ლორის-მელიქოვი
Михаил Лорис-Меликов
Mikhail Loris-Melikov

1825–1888

სომხური წარმოშობის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში, თავად ტარიელ ლორის-მელიქიშვილის წარჩინებულ ოჯახში.

1840-იან წლებში მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ომში, ყირიმის 1853-1856 და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 ომებში კავკასიის ფრონტზე. 1879 წელს დაინიშნა ასტრახანის, სარატოვის, სამარისა და ხარკოვის გენერალ-გუბერნატორად. 1880 წელს, ზამთრის სასახლეში ტერორისტული აქციის შემდეგ, იგი გაამწესეს შინაგან საქმეთა მინისტრად და ჟანდარმთა შეფად. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად იგი ცდილობდა დამსჯელი ზომების შერბილებას და ლიბერალური საზოგადოების მომხრობას. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მ. ლორის-მელიქოვმა იმპერატორ ალექსანდრე II-ს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც განხილული იყო რიგი ეკონომიკური რეფორმების პროექტები. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლისა და ალექსანდრე III-ის მანიფესტის გამოცემის (თვითმპყრობელობის განმტკიცების შესახებ) შემდეგ ლორის მელქოვი გადადგა (1881) და უმეტესად უცხოეთში ცხოვრობდა.

მ. ლორის-მელიქოვი გარდაიცვალა საფრანგეთში, ქ. ნიცაში.

Государственный деятель России. Армянского происхождения, генерал-адьютант, граф, член Государственного совета. Родился в Тбилиси, в дворянской семье князя Тариэла Лорис Меликишвили.

В 1840-х гг. принимал участие в военных действиях против Шамиля, а также в Крымской войне 1853–1856 гг. и в русско-турецкой войне 1877–1878 гг. на Закавказском фронте. В 1879 г. был назначен астраханским, саратовским, самарским и харьковским генерал-губернатором. После террористического акта в Зимнем дворце, в 1880 г. был назначен министром внутренних дел и шефом жандармерии. Продолжая борьбу против революционного движения, М. Лорис-Меликов старался смягчить карательные меры и привлечь на свою сторону либеральную общественность. В силу своей должности, он представил императору Александру II доклад о проведении ряда экономических реформ. После убийства Александра II и издания Александром III манифеста об укреплении самодержавия Лорис-Меликов вышел в отставку (1881) и жил преимущественно за границей.


Скончался М. Лорис-Меликов во Франции, в г. Ницце.

Russian statesman of Armenian descendance, Adjutant General, count member of the Council of State. He was born in Tbilisi, in the family of noblemen.

In 1840s he fought against Imam Shamil; in 1877 – 1878, M. Loris-Melikov participated in the Russian-Turkish war, being engaged in the battles on the Caucasian front. In 1879, he was appointed the Governor-General of Astrakhan, Saratov, Samara and Kharkov. In 1880 in the wake of the terrorist act at the Winter Palace, he was assigned to the post of the Minister of Internal Affairs and Chief of Gendarmery. Along with battling against the revolutionary movement, he endeavored to allay punitive sanctions and mollify the liberal-minded segments of society. During his term in the office of the Minister, M. Loris-Melikov submitted the report on economic reforms to Emperor Alexader II. In the wake of Emperor Alexander II's assassination and issuance of Emperor Alexander III's Manifesto (on bolstering autocratic rule), Loris-Melikov retired (1881). Thereafter, he mostly lived abroad.

M. Loris-Melikov died in Nice, France.

მიხეილ ლორის-მელიქოვი. მხატვარი ი. აივაზოვსკი
Михаил Лорис - Меликов. Художник И.Айвазовский
Mikhail Loris - Melikov. Artist I.Aivazovsky



ვლადიმერ მაიაკოვსკი
Владимир Маяковский
Vladimir Mayakovsky

1893–1930

რუსი პოეტი, რუსული კლასიკური პოეზიის რეფორმატორი. მის მიერ შექმნილმა ნოვატორულმა პოეტურმა სისტემამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა როგორც რუსული, ასევე უცხოური ლიტერატურის განვითარება.

ვ. მაიაკოვსკი დაიბადა საქართველოში, სოფ. ბაღდათში. 1902 წლიდან სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1906 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახთან ერთად მოსკოვში გადასახლდა.

საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა ვ. მაიაკოვსკიმ კარგად იცოდა ქართული ენა. შემდეგში მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში (1914, 1924, 1926, 1927). სასიამოვნო მოგონება აკავშირებდა ბაღდადსა და ქუთაისში გატარებულ ბავშვობის წლებთან, სიყრმის მეგობრებთან. სწორედ ამ მოგონებებმა ათქმევინა მას, „მე ქართველი ვარო“. ეს იყო სიყვარულის გამოცხადება საქართველოსადმი, ყველაფერი იმისადმი, რაც მას ამ ქვეყანამ სიცოცხლის დასაწყისშივე მისცა; ქვეყანამ, რომელიც ვ. მაიაკოვსკიმ ედემს შეადარა, რომელზედაც „გალობდნენ მგოსნები“. გარდა იმისა, რომ იგი საქართველოში დაიბადა, ამ ქვეყნის სიყვარული თითქოს შთამომავლობით მიიღო პუშკინისა და ლერმონტოვისაგან. თბილისი ვ. მაიაკოვსკის უსაყვარლესი ქალაქი იყო. „ეს ჩემი ქალაქია, აქ უყვართ პოეტები და სტუმრის მიღებაც იციან“ – უთქვამს მას ერთხელ

Русский поэт, реформатор русской классической поэзии. Созданная им новаторская поэтическая система в значительной мере определила развитие как русской, так и иностранной литературы.

Родился В. Маяковский в Грузии, в с. Багдади. С 1902 г. учился в кутаисской гимназии. После смерти отца, в 1906 г. семья переехала в Москву.

Родившись и прожив в Грузии 13 лет, В. Маяковский хорошо знал грузинский язык. Впоследствии он несколько раз посетил Грузию (1914, 1924, 1926, 1927). Приятные воспоминания о проведенных в Багдади и Кутаиси годах, о друзьях детства позволили ему заявить: „Я – грузин“. Это звучало как объяснение в любви к Грузии, ко всему тому, что дала эта страна поэту в самом начале жизни; страна, которую сравнивал с эдемом, райским садом, страна, которую „воспевали поэты“. Любовь В. Маяковского была вскормлена не только тем, что он родился в этой стране. Это чувство он как бы получил по наследству от Пушкина и Лермонтова. Особенно ценил он Тбилиси: „Это мой город, здесь любят поэтов и славятся гостеприимством“ – так выразился он однажды в беседе с кинорежиссером Николозом Шенгелая. И не удивительно, что в Тбилиси он имел много друзей. Каждый его приезд в Тбилиси превращался в праздник. В. Маяковский был в близких отношениях с грузинскими поэтами и деятелями искусства:

Russian poet, reformer of Russian classical poetry. His innovative poetic system greatly influenced the development of Russian and foreign literature.

V. Mayakovsky was born in the village of Bagdadi, in Georgia. Starting from 1902 he studied at the public school of Kutaisi. After the death of his father in 1906, his family moved to Moscow and settled there.

Being born and raised in Georgia, Mayakovsky was fluent in Georgian. Later on, he visited Georgia several times (1914, 1924, 1926, 1927). He had pleasant memories of his green years in Bagdadi, his childhood in Kutaisi and his adolescence friends. Those memories prompted him to say: 'I am Georgian!' It was his way of declaring love for Georgia, for the country, which proved to be important for his formative years. Mayakovsky compared Georgia to the Garden of Eden, 'which was worthy of the praise of poets'. Besides his affection towards the country of his birth, he seemed to inherit the infatuation with Georgia from Pushkin and Lermontov. Tbilisi was Mayakovsy's favorite city. 'It is the right city for me. The people here love poets and they are the best at playing hosts', he is reported as saying to the movie director Nikoloz Shengelaia. Apart from Moscow, Tbilisi was the city where he had most friends. Therefore, his every arrival in Tbilisi came to a feast. There he communicated with poets and men of art: Titsian Tabidze, Lado Gudiashvili,

კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასათვის. ყველაზე მეტი მეგობარი, რასაკვირველია, მოსკოვის შემდეგ, მას თბილისში ჰყავდა. ამიტომაც მაიაკოვსკის ყოველი ჩამოსვლა თბილისში ზეიმი იყო. ურთიერთობა ჰქონდა ქართველ პოეტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან: ტიციან ტაბიძესთან, ლადო გუდიაშვილთან, კოტე მარჯანიშვილთან და სხვებთან. კოტე მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა მთაწმინდაზე დაედგა მისი „მისტერია ბუფი“. საქართველოს თემა გამოჩნდა ვ. მაიაკოვსკის ლექსებსა და პოემებში: „ვლადიკავკაზი-თბილისი“, „თამარი და დემონი“ და სხვ., თუმცა, როგორც თავად აღნიშნავდა, იგი მაინც „ვალში იყო ბაღდადის ზეცის წინაშე“.

ვ. მაიაკოვსკიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

с Тицианом Табидзе, Ладо Гудиашвили, Котэ Марджанишвили и др. К. Марджанишвили имел намерение поставить его „Мистерию буфф“ на Мтацминда (Святой горе). Грузинская тема прозвучала в стихотворениях и поэмах В. Маяковского: „Владикавказ-Тбилиси“, „Тамара и демон“ и т. д. И несмотря на это, по его словам, он был „в долгу перед багдадским небом“.

В. Маяковский покончил жизнь самоубийством.

Kote Marjanishvili and others. Furthermore, Kote Marjanishvili intended to stage his *Mysteria Boof* at Mount Mtatsminda. The theme of Georgia resonated in his verses and poems: *Vladikavkaz – Tbilisi, Tamar and Demon*, etc. Nevertheless, he used to say that he was 'still indebted to the skies of Bagdadi'.

V. Mayakovsky committed suicide in Moscow.

ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. სოფ. ბაღდათი
Дом - музей В. Маяковского. с. Багдади
V. Mayakovsky's House - Museum. Village Bagdadi





ოსიპ მანდელშტამი
Осип Мандельштам
Osip Mandelstam

1891–1938

რუსი პოეტი. დაიბადა ვარშავაში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, გერმანიასა და საფრანგეთში. საქართველოთი პეტერბურგში დაინტერესდა, როდესაც იქ მცხოვრები ქართული საზოგადოების წარმომადგენლები გაიცნო, მათ შორის შესანიშნავი მანდილოსნები: თინათინ ჯორჯაძე და სალომე ანდრონიკაშვილი. ოქროს ვერძის ქვეყნის მონახულება ოცნებად ექცა. პირველად 1920 წლის სექტემბერში ძმასთან ერთად ჩამოვიდა ბათუმში, შემდეგ ორი კვირა თბილისში გაატარა. დაუახლოვდა ცისფერყანწელებს – პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს. იმავე წლით თარიღდება მისი პირველი ლექსი თბილისზე – „მე მეზმანება ისევ თბილისი“. მართავდა საღამოებს კონსერვატორიაში, ხოდოტოვის თეატრალურ სტუდიაში, ლიტერატურულ წრეში „პოეტთა ამქარი“. მეორედ თბილისში 1921 წელს ჩამოვიდა მეუღლესთან ერთად და 6 თვე დარჩა. თავდაპირველად ცხოვრობდა ვერაზე ღუნიბისა (ახლანდ. ბარნოვის) და აგურის (ბელინსკის, ახლანდ. თ. ჭოველიძის) ქუჩების კუთხეში, შემდეგ – სოლოლაკში, „ხელოვნების სახლში“ (მოგვიანებით ამ სახლში მწერალთა კავშირმა დაიდო ბინა). მეორე სართულზე პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე ცხოვრობდნენ ოჯახებით. ეს იყო ძალზე ნაყოფიერი პერიოდი მანდელშტამის შემოქმედებაში. ამ დროს დაიწერა ლექსი („Умывался

Русский поэт. Родился в Варшаве. Учился в Петербургском университете, Германии и во Франции. Знакомство с представителями грузинской общественности в Петербурге, в том числе с обаятельными княжнами Тинатин Джорджадзе и Саломе Андроникашвили, послужило поводом заинтересоваться Грузией. Появилась мечта – посетить родину Золотого руна. В сентябре 1920 г. вместе с братом сперва приехал в Батуми, а затем на две недели в Тбилиси. Здесь сблизился с Тицианом Табидзе, Паоло Яшвили, Гиорги Леонидзе. Этим же годом датируется его первое стихотворение, посвященное Тбилиси – „Снится мне опять Тбилиси“. О. Мандельштам устраивал вечера в консерватории, в театральной студии Ходотова, в литературном кружке „Цех поэтов“. Второй раз приехал в Тбилиси вместе с женой на шесть месяцев. Сначала жил в старинном районе Вере, на углу Гунибской (ныне ул. Барнова) и Кирпичной (ул. Белинского, ныне одна ее часть – ул. Т. Човелидзе) улицах, затем в Сололаки, в „Доме искусств“ (позднее в этом здании расположился Союз писателей). На втором этаже жили Паоло Яшвили и Тициан Табидзе с семьями. В Тбилиси О. Мандельштам работал плодотворно. Здесь он написал стихотворение „Умывался ночью на дворе“, которое его современники считали вестником нового мировоззрения в творчестве О. Мандельштама. Здесь он занялся и переводами.

Russian poet. Born in Warsaw. He studied at the universities in Petersburg, Germany and France. He took an interest in Georgia in Petersburg, where he had struck acquaintance with the representatives of Georgian community, especially, with such eminent ladies as Tinatin Jorjadze and Salome Andronikashvili. Visiting the country of Golden Fleece became the dream of his life. For the first time he arrived in Batumi in September of 1920 together with his brother; then he spent a fortnight in Tbilisi. He became good friends with the representatives of *Tsisperkanthelebi* (the poetic trend of 'Blue Drinking Horn') – Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Giorgi Leonidze. At that time, he wrote his first poem *'Again I Dream of Tbilisi"*. He used to hold poetic evenings at the Conservatoire at Khodotov's Theater Studio and literary club *'Guild of Poets'*. For the second time, O. Mandelstam arrived in Tbilisi together with his wife and spent 6 months there. First, he lived in the Vere Quarter on the corner of Temper Street (present-day Barnov Street) and Brick Street (later – Belinsky Street; currently – Chovelidze Street). Then he moved to the Sololaki Quarter to lodge at the 'House of Arts' (later the building became the head office of the Writers' Union). Paolo Iashvili and Titsian Tabidze with their families lived on the first floor of the house. It was the most prolific period in O. Mandelstam's creative life. It was the time, when he wrote the poem "*I Washed*

ночью на дворе"), რომელსაც თანამედროვენი მანდელშტამის შემოქმედებაში ახალი მსოფლხედვის მაუწყებლად მიიჩნევდნენ. პოეტმა თარგმნას მიჰყო ხელი. თარგმნა პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის ლექსები, ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა". ის იმდენად ჩაერთო თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომ ქართველ პოეტთათვის თავისიანი გახდა.

ო. მანდელშტამი კვლავ ეწვია საქართველოს 1930 წელს, თვენახევარი სოხუმს სტუმრობდა, შემდეგ – თბილისს, სომხეთში გამგზავრებამდე და ისევ თბილისს.

1938 წელს ო. მანდელშტამი შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. იმავე წლის 27 დეკემბერს იგი ვლადივოსტოკის მახლობლად გადასაგზავნ ბანაკში ტიფით გარდაიცვალა. სად არის დასაფლავებული, უცნობია.

Перевел стихи Паоло Яшвили, Тициана Табидзе, Гиорги Леонидзе, поэму Важа Пшавела „Гоготур и Апшина"; стал завсегдатаем литературной жизни Тбилиси, „своим человеком" для грузинских поэтов.

В 1930 г. О. Мандельштам опять посетил Грузию, полтора месяца провел в Сухуми, затем — до и после поездки в Армению — побывал в Тбилиси.

В 1938 г. О. Мандельштама сослали на Дальний Восток. 27 декабря того же года скончался от тифа в пересыльном лагере близ Владивостока. Место захоронения неизвестно.


Face in the yard", which was viewed by his contemporaries as a manifestation of his new outlook. O. Mandelstam tried his hand in translations and rendered into Russian the poems of P. Iashvili, T. Tabidze, G. Leonidze and the long poem *Gogotur and Apshina* by Vazha-Pshavela. He became so closely engaged in the literary life of Tbilisi that Georgian poets viewed him as 'one of their fraternity through and through'.

In 1930, O. Mandelstam visited Georgia for the third time. He stayed in Sokhumi for a month and a half. Later he lived in Tbilisi, prior to his departure to Armenia and again, he made a stopover in Tbilisi on his way back to Russia.

In 1938 O. Mandelstam was arrested and exiled to the Far East. On December 27, 1938, he died of typhus in the labor camp. Whereabouts of his burial place is unknown.

"Мне Тифлис горбатый снится"





ფრანჩესკო-მარია მაჯო
Франческо-Мария Маджо
Francesco-Maria Maggio

1612–1686

იტალიელი მისიონერი, თეატინელი ბერი. გორში ჩამოვიდა 1637 წელს კათოლიკე მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს მოწვევით. საქართველოში 8 წელი გაატარა. მოღვაწეობდა ჯერ გორში, შემდეგ სამეგრელოსა და გურიაში. ამ მოღვაწეობის შედეგი იყო ნაშრომი „თხზულება აღმოსავლური ენების შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება“. ნაშრომის პირველი ნაწილი არის „ქართული, ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკული წესები“. ეს არის ლათინურ ენაზე დაწერილი ქართული ენის გრამატიკა. მაჯოს „ქართული გრამატიკა“ იყო პირველი, და ერთადერთი, ნაბეჭდი შრომა ლათინურად, რომელიც აკმაყოფილებდა ევროპელების სამეცნიერო – შემეცნებით ინტერესს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენის – ქართულის – მიმართ.

Итальянский миссионер, театинский монах. По приглашению католического миссионера дона Пьетро Авитабиле в 1637 г. приехал в Грузию, в частности в г. Гори и пробыл в Грузии 8 лет. Результатом его деятельности сначала в Гори, а затем в Самегрело и Гурии, является труд под названием „Сочинение о восточных языках, распространенных в разных краях Грузии“. В первой части этого сочинения содержатся „Грамматические правила грузинского, т. е. иберийского разговорного языка“. Это грамматика грузинского языка на латынском языке. „Грузинская грамматика“ Маджо первый и единственный латиноязычный печатный труд, удовлетворявший научно-познавательные интересы европейцев в отношении одного из древнейших в мире языков - грузинского.

Italian missionary, the Theatian monk. In 1637 he arrived in Gori on the invitation of Catholic missionary Pietro don Avitabile. He stayed in Georgia for 8 years. He worked first in Gori, then in Samagrelo and Guria. The result of his stay in Georgia was his book - *Composition About the Oriental Languages That Are Spoken in Different Regions of Georgia*. The first part of the book offers *Grammar Rules of Georgian, that Is, Iberian Spoken Language*. It is the Grammar of Georgian Language, written in Latin. Maggio's *Georgian Grammar* was the first and only published work in Latin, which satisfied European scientific and informative interest in Georgian tongue, one of the oldest languages world over.

გორი, 1642 წ. კასტელის ნახატი
Гори,1642 г. Рисунок Кастелли
Gori, 1642 Painting by Castelli



აშილ მიურატი
Ашиль Мюрат
Achille Murat

1845–1895

პრინცი შარლ-ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატი, ნაპოლეონ I-ის მარშლის და სიძის, ნეაპოლის ყოფილი მეფის იოაჰიმ მიურატის შვილიშვილი, იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ფლიგელ-ადიუტანტი. დაიბადა აშშ-ის ქ. ბორდენთაუნში (ნიუ ჯერსის შტატი). მამა – ლუსიენ მიურატი (1803-1878), დედა – ამერიკელი ქეროლაინ ჯორჯიანა ფრეიზერი (1810-1879). სამხედრო ინსტიტუტში განათლების მიღების შემდეგ აშილი საფრანგეთის არმიაში ლეიტენანტად გაამწესეს. თავდაპირველად ალჟირში დანიშნეს, სადაც მეუღლესთან – სალომე დადიანთან ერთად იმყოფებოდა. სალომე დადიანი – დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასული, აშილმა პარიზში გაიცნო და 1868 წელს იქორწინა მასზე.

ალჟირში აშილ მიურატი 1870 წლამდე იმყოფებოდა. აშილი და სალომე საქართველოში ჩამოვიდნენ და ზუგდიდში, დადიანების საცხოვრებელი კომპლექსის ერთერთ ხის სასახლეში დასახლდნენ. აშილი სამეწარმეო საქმიანობაში ჩაერთო, მათ შორის, ღვინის წარმოებაშიც. მან სამეგრელოში ვაზის რამდენიმე ფრანგული ჯიში შემოიტანა, ამავე დროს, ადგილობრივი სახელგანთქმული ჯიშის, ოჯალეშის, (რომელიც იმ დროს გადაშენების გზაზე იყო), სისტემატური კულტივირებაც დაიწყო. აშილი შესანიშნავ ღვინოებს ამზადებდა და ევროპაშიც წარმატებით გაჰქონდა.

Принц Шарль-Луи Наполеон Ашиль Мюрат, внук маршала Наполеона I и его зятя, бывшего неаполитанского короля Иоахима Мюрата, флигель-адьютант Наполеона III. Родился в США., в г. Бордентауне (штат Нью Джерси). Отец Люсьен Мюрат (1803-1878), мать – американка Керолайн Джорджиана Фрейзер (1810–1879). Получив образование в Военном институте, был определен во французскую армию в чине лейтенанта. Сначала был направлен в Алжир, куда поехал с супругой – Саломе Дадиани. С Саломе, дочерью Давида Дадиани – правителя Самегрело и его жены – княгини Екатерины Чавчавадзе – Ашиль познакомился в Париже и в 1868 г. женился на ней.

Ашиль Мюрат пробыл в Алжире до 1870 г., после чего Ашиль и Саломе приехали в Грузию и поселились в Зугдиди, в одном деревянном дворце из жилого комплекса, принадлежавщего Дадиани. Ашиль занялся производственными работами, в том числе виноделием. Он завез в Самегрело несколько французских сортов винограда, и одновременно культивировал местный сорт винограда – знаменитый Оджалеши, который к тому времени почти перевелся. Ашиль вырабатывал высококачественные вина и с успехом вывозил их в Европу. Он наладил хорошие отношения с местным населением, намеревался построить школы, больницы, проложить дороги. В Зугдиди открыл канцелярию, завел

Prince Charles-Luis Napoleon Achille Murat, Flügel-Adjutant of Emperor Napoleon III, grandson of Joachim Murat, Marshal and brother-in-law of Napoleon I and ex-King of Naples. He was born in the USA, in Bordentown (New Jersey). His father was Lucien Murat (1803-1878); his mother was an American lady – Caroline Georgiana Frazer (1810 – 1879). After Achille graduated from the Military Institute, he was enlisted as a lieutenant in the French army. Initially, he was stationed in Algiers, where he lived together with his wife – Salome Dadiani. In Paris, Achille made the acquaintance with Salome Dadiani, daughter of Prince Davit Dadiani and Ekaterine Chavchavadze, and married her in 1868.

Until 1870 Achille stayed in Algiers. He and Salome arrived in Georgia and settled in Zugdidi, in one of the wooden cottages of the Dadiani housing estate. Achille was engaged in entrepreneurship, including wine making. He introduced several French sorts of vine to Samegrelo. At the same time, he cultivated famous local sort of wine Ojaleshi, which faced the danger of extinction. Achille used to produce excellent wines and successfully exported them to Europe. He had good relations with local populace. He built roads, schools and hospitals in the Samegrelo province. He had a chancellery in Zugdidi, several business managers worked for him. Achille Murat regularly watched the developments in France, though he did

მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, იღვწოდა გზების, სკოლებისა და საავადმყოფოების აშენებისათვის. ზუგდიდში კანცელარია ჰქონდა, ჰყავდა საქმეთა მმართველები. აშილ მიურატი გამუდმებით ადევნებდა თვალს საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ საცხოვრებლად იქ აღარ დაბრუნებულა, ზუგდიდში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი, გარკვეულწილად, საიდუმლოებით არის მოცული. ოფიციალურ ვერსიად თავის ტვინში სისხლჩაქცევა დასახელდა, მაგრამ სამეგრელოში მიაჩნდათ, რომ მან თავი მოიკლა.

управляющих делами. Вместе с тем, постоянно следил за событиями во Франции, однако на родину не возвратился, скончался в Зугдиди. Его смерть, в определенном смысле, окутана тайной. Согласно официальной версии, Ашиль скончался от кровоизлияния в мозг, однако в Самегрело считали, что он покончил жизнь самоубийством.

not return to live there. He died in Zugdidi. In a sense, his death was cloaked in mystery. The official version ascribed his death to cerebral hemorrhage. However, rumor had it that he committed suicide.

დადიანების სასახლე ზუგდიდში
Дворец Дадиани в Зугдиди
Dadiani's palace in Zugdidi





მუშთაიდი
Муштаиди
Mushtaidi

?-1892

მირ-ფეთე-აღა სეიდ თავრიზელი, ირანის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე, ერთ-ერთი შიიტური სექტის მეთაური. წარმოშობით აზერბაიჯანელი. თავრიზის მუჯთაჰიდი (მუსლიმი ღვთისმეტყველი, უმაღლესი შიიტური სასულიერო წრის წარმომადგენელი). 1828 წლის რუსეთ-ირანის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის მეფის მთავრობამ მირ-ფეთე-აღას 50 დესეტინა მიწის ნაკვეთი უბოძა თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მირ-ფეთე-აღა თბილისში გადმოსახლდა. ქალაქში იგი მუშთაიდის სახელით იყო ცნობილი. ცოლად მოიყვანა ქართველი ქალი, ნინო, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მის პატივსაცემად, ნაჩუქარ ნაკვეთზე გააშენა დიდი პარკი, გაიყვანა სარწყავი არხი და კეთილმოაწყო მთელი ტერიტორია. პარკს ხალხი მუშთაიდის სახელით მოიხსენიებდა. მუშთაიდის ბაღი ქალაქის კოლორიტულ ადგილად იქცა და დღესაც თბილისელების საყვარელი ადგილია. XIX საუკუნის შუა წლებში პარკი შეიძინა საქალაქო ხაზინამ და ააშენა რესტორანი და საზაფხულო თეატრი.

მუშთაიდი 1845 წელს დაბრუნდა ირანში. იგი თავრიზში გარდაიცვალა.

Мир-Тепе-ага Сеид Тавризи, религиозный и политический деятель Ирана, глава одной из шиитских сект. По происхождению азербайджанец. Моджахед (мусульманский богослов, представитель высших шиитских духовных слоев) Тавриза. После окончания русско-иранской войны 1828 г. Мир-Тепе-аге в Тбилиси, на левом берегу р. Куры, царским правительством был пожалован земельный участок в размере 50 десятин, после чего он переселился в Тбилиси. Мир-Тепе-ага в городе был известен под именем Муштаиди. Женился он на грузинке – Нино. После её смерти, на подаренной земле, в память о покойной жене разбил парк, провел оросительный канал и благоустроил всю территорию. Парк, который впоследствии стал одним из колоритных мест города, тбилисцы прозвали именем Муштаиди. В середине XIX в. городское управление, выкупив парк у владельца, построило ресторан и летний театр.

В 1845 г. Муштаиди вернулся в Иран. Скончался он в Тавризе.

Mir-Fatah-Aga Seid of Tabriz was an Iranian religious and political figure, leader of Shiah sect and a Mushtaidi (Muslim theologian, member of the highest spiritual circle of Shiah faith) of Tabriz. He was Azebaijani by descent. In the wake of Russian-Iranian war of 1828, the government of Russian Tsar presented Mir-Fatah-Aga with 50 dessiatina (1 dessiatina = 2.7 acres) of plot in Tbilisi, on the left bank of the Mtkvari River. Mir-Fatah-Aga moved to Tbilisi and settled there. In Tbilisi, he was known by the name of Mushtaidi. There he married a Georgian woman Nino. After her death, in her memory, he laid out a big park on the donated plot, constructed an irrigation channel and equipped the entire territory with amenities. People used to call the place the Mushtaidi Park. The Mushtaidi Garden became the most vivid spot of the city. In the middle of the 19th century, the city treasury purchased the park and built there a restaurant and a summer theater.

In 1845 Mushtaidi returned to Iran. He died in Tabriz.





Tiflis. Mouchtaïd-Entrée.



ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო
Владимир Немирович-Данченко
Vladimir Nemirovich-Danchenko

1858–1943

რუსი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, პედაგოგი, მწერალი, დრამატურგი. სსრკ სახალხო არტისტი (1936), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1942, 1943). დაიბადა საქართველოში, ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ბავშვობა თბილისში გაატარა. სწავლობდა თბილისის პირველ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სასცენო ხელოვნება ბავშვობიდან აინტერესებდა. მონაწილეობდა სამოყვარულო სპექტაკლებში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა და 1876-1879 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე. წერდა მოთხრობებს, პიესებს. მისი პიესები იდგმებოდა მოსკოვის მცირე თეატრში, პეტერბურგის ალექსანდრას თეატრში და სხვ. 1898 წელს კ. სტანისლავსკისთან ერთად დაარსა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი (MXAT). ამ თეატრში კ. სტანისლავსკისთან ერთად პირველად დადგა პიესები: ა. ჩეხოვის „თოლია“ (1898), „ძია ვანია“ (1899), „სამი და“ (1901), „ალუბლის ბაღი“ (1904) მ. გორკის „ფსკერზე“ (1902). დამოუკიდებლად დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ჰაუპტმანის „მარტოსულნი“ (1899), უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“ (1903), ფ. დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ (ინსცენირება), ლ. ტოლსტოის „აღდგომისა“ (1930) და „ანა კარენინას“ (1937) მიხედვით დადგმული სპექტაკლები და სხვა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა სამხატვრო თეატრს.

ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

Русский режиссер, театральный деятель, педагог, писатель, драматург. Народный артист СССР (1936), лауреат Государственной премии (1942, 1943). Родился в Грузии, в с. Шемокмеди Озургетского района, в семье военного служащего. Детство провел в Тбилиси. Учился в Тбилисской I дворянской гимназии. С детства имел пристрастие к сценическому искусству, принимал участие в любительских спектаклях. После окончания гимназии уехал в Москву и в 1876–1879 гг. учился на физико-математическом факультете Московского университета. Сочинял рассказы, пьесы. Его пьесы ставились в Малом театре Москвы, Александровском театре Петербурга. В 1898 г. совместно с К. Станиславским основал Московский художественный академический театр (МХАТ). Вместе со Станиславским он поставил пьесы А. Чехова „Чайка“ (1898), „Дядя Ваня“ (1899), „Три сестры“ (1901), „Вишневый сад“ (1904), а также „На дне“ (1902) М. Горького. Из самостоятельных постановок нужно отметить „Одинокие“ Гауптмана (1899), „Юлий Цезарь“ Шекспира (1903), „Братья Карамазовы“ Ф. Достоевского (инсценировка), спектакли по романам Л. Толстова „Воскресение“ (1930) и „Анна Каренина“ (1937) и др. В. Немирович-Данченко до конца жизни руководил Художественным театром.

Скончался В. Немирович-Данченко в Москве. Похоронен на Новодевичьем кладбище.

Russian stage director, outstanding figure of Russian theater world, pedagogue, writer and playwright. People's Artist of the USSR (1936), Laureate of the State Prize of the USSR (1942, 1943). He was born to the family of a military serviceman in the village of Shemokmedi of Ozurgeti Region, Georgia. He spent his green years in Tbilisi, where he studied at the Tbilisi classical school for the nobility. From his yearly years he was carried away with stage. In the school he participated in amateur performances. After graduating from the classical school, he left for Moscow and in 1876 – 1879 he studied at the Physical-Mathematical Faculty of Moscow University. He wrote stories, novels and plays. His plays were staged at the Moscow Maly Theater and the Petersburg Alexander Theater, as well as other theaters. In 1898, together with K. Stanislavskiy, he founded the Moscow Academic Art Theater (MXAT). Along with K. Stanislavsky, he staged the following plays in the Academic Art Theater: *Seagull* (1898), *Uncle Vanya* (1899), *Three Sisters* (1901), *Cherry Orchard* (1904) by A. Chekhov and *At the Bottom* by M. Gorky (1902). Among the plays, which were independently produced by V. Nemirovich-Danchenko, the following should be mentioned: *Lonely People* by G. Hauptman (1899), W. Shakespeare's *Julius Caesar* (1903), stage adaptation of F. Dostoevsky's novel *The Brothers Karamazov* and the stage productions based on L. Tolstoy's novels *Easter Sunday* (1930) and *Ana Karenina* (1937). He headed the Moscow Academic Art Theater till his death.

V. Nemirovich-Danchenko died in Moscow. He was buried at the Novodevichy cemetery.



ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს საფლავი. მოსკოვი
Могила В. Немировича-Данченко. Москва
Grave of V. Nemirovich-Danchenko. Moscow





ჩობერტ და ლუდვიგ ნობელები
Роберт и Людвиг Нобель
Robert and Ludvig Nobel

1829–1896 • 1831–1888

ᲐᲕᲔᲓᲘ გამომგონებლები და მრეწველები. ნობელის პრემიის დამაარსებლის, ალფრედ ბერნჰარდ ნობელის ძმები. საქართველოში, კერძოდ ბათუმში, XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდნენ მას შემდეგ, რაც 1876 წელს ბაქოში დააარსეს ნავთობსამრეწველო საწარმო (1879 წლიდან – „ძმები ნობელების ამხანაგობა“, იგივე „ბრანობელი“) და გადაწყვიტეს, ბაქოდან ბათუმის გავლით ნავთობი ევროპაში გაეტანათ. ამისთვის მათ ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის, რკინიგზისა და ბათუმის ნავთობტერმინალის მშენებლობა უნდა განეხორციელებინათ. 1883 წელს გაიხსნა ბათუმის ტერმინალი. იმავე წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ხაშური-ბათუმის მონაკვეთის მშენებლობა. ლუდვიგ ნობელის კონსტრუქციით აიგო პირველი ვაგონ-ცისტერნები. ძმებმა ნობელებმა პირველებმა გაიტანეს ნავთობი ბათუმიდან ევროპის მიმართულებით.

ნობელებს ბათუმში თავიანთი მიწის ნაკვეთი და სახლი ჰქონდათ, სადაც ცხოვრობდნენ. 1883 წლიდან აქვე იყო ნობელების ბათუმური კანტორაც. სახლი ბათუმში, ბენზეს რაიონში, ლესელიძის ქ. №3-ში მდებარეობს. საბჭოთა პერიოდში აქ საბავშვო ბაღი, ხოლო შემდეგ მილიციის სამმართველო იყო განთავსებული. 2007 წლის 17 მაისს გაიხსნა „ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი“ მემორიალური დაფით. მუზეუმში გამოფენილია ნობელების ავეჯი, ნავთობის მრეწველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექნოლოგიური მასალა.

Шведские изобретатели и промышленники. Братья учредителя Нобелевских премий Альфреда Бернхарда Нобеля. Они появились в Грузии, собственно в Батуми, в 80-е годы XIX в., предварительно основав в 1876 г. в Баку нефтепромышленное предприятие (с 1879 г. – Товарищество братьев Нобель, тот же „Бранобель“) и решив экспортировать нефть из Баку через Батуми в Европу. Для этого было необходимо провести нефтепровод Баку-Батуми, проложить железную дорогу, построить нефтетерминал. В 1883 г. был открыт Батумский терминал. В том же году завершилось строительство Баку-Батумского нефтепровода на Хашури-Батумском участке. По конструкции Людвига Нобеля были построены первые вагоноцистерны. Братья Нобели были первыми экспортерами нефти из Баку в Европу.

Братья Нобель имели в Батуми собственный участок земли и дом, в котором они жили. С 1883 г. здесь же открылась батумская контора Нобелей. Дом Нобелей находился (и находится по сей день) в районе Бензе на ул. Леселидзе д. №3. При Советской Власти в доме был расположен детский сад, а затем милицейское управление. 17 мая 2007 года в доме был открыт „Батумский технологический музей братьев Нобель“. В музее выставлены мебель, принадлежащая братьям, разного вида технологический материал нефтяной промышленности.

Swedish inventors and industrialists. Brothers of Alfred Bernhard Nobel, founder of the Nobel Prize. They appeared in Georgia, namely - in Batumi, in the 1880s. In 1876, they founded the oil industry company in Baku (as of 1879, the enterprise was named ‘Nobel Brothers Partnership’ i.e. ‘Branobel’) and decided to transport oil from Baku to Europe via Batumi. To that effect, they had to build the Baku-Batumi oil pipeline, railway and oil-loading terminal in Batumi. In 1883, they opened the Batumi terminal. The same year they finished the construction of Khashuri-Batumi segment of Baku-Batumi oil pipeline. The first tank cars were built according to the design of Ludvig Nobel. The Nobels were the first to transport oil to Europe via Batumi.

The Nobel brothers owed a plot and a house in Batumi, where they lived starting from 1883. Their Batumi office was situated in the same place. Their house in Batumi is located at No. 3, Leselidze Street, in the Benze Quarter. During the Soviet period, it was occupied first by the kindergarten, later – by the divisional office of militia. On May 17, 2007, the building was taken up by the Technological Museum named after the Nobel brothers. The façade of the museum bears a matching memorial plate. The exhibition of the museum includes the furniture that belonged to the Nobel brothers and various technological materials connected with the oil industry.





ძმები ნობელების სახ. ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი
Батумский Технологический музей им. Братьев Нобель
Batumi Technological Museum named after the Nobel Brothers



ლეონ (ლევონ) და იოსებ ორბელები
Леон (Левон) и Иосиф Орбели
Leon (Levon) and Joseph Orbeli

1882-1958 • 1887-1961

ძმები. მამა – აბგარ ორბელი – იურისტი, წარმოშობით სომეხი, 1889 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა თბილისში, ბებუთოვის (ახლანდ. ლადო ასათიანის) ქუჩაზე, №56-ში. დედა – ბარბარე არგუტინსკაია-დოლგორუკოვა, თბილისში მცხოვრები, ძველი სომხური თავადური გვარის შთამომავალი იყო. ლეონისა და იოსების ბიძები: ამაზასპი – თბილისში იმ დროს ცნობილი სტომატოლოგი, ხოლო დავითი – 30 წელზე მეტ ხანს თბილისის ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმი იყო.


ლეონ (ლევონ) – ფიზიოლოგი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის (1935), სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის (1943), სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1944) აკადემიკოსი. ევოლუციური ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ლეონის მშობლები ქორწინების შემდეგ თბილისიდან ქ. ნახიჩევანში გადავიდნენ, რადგან აბგარ ორბელი იქ მოსამართლედ დანიშნეს. ლეონი ნახიჩევანის მახლობლად, სოფ. დარაჩიჩაგში დაიბადა. 1883 წელს ლეონის მამა სამუშაოდ ქუთაისში გადაიყვანეს, ხოლო 1889 წელს – თბილისში. ლეონ ორბელი საქართველოში 16 წელს ცხოვრობდა. 1889 წლიდან სწავლობდა თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში. 1904 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკა-

Братья. Отец – Абгар Орбели, по происхождению армянин, юрист. С 1889 г. постоянно жил в Тбилиси, на Бебутовской (ныне Ладо Асатиани) улице, д. №56. Мать – Варвара Аргутинская-Долгорукова из Тбилиси, принадлежала древнеармянской княжеской фамилии. Дяди Леона и Иосифа: Армазасп – известный в то время в Тбилиси стоматолог, а Давид – врач бывшей Михайловской больницы в течение более 30 лет.

Леон (Левон) – физиолог. Академик Академии наук СССР (1935), Академии наук Армянской ССР (1943), Академии медицинских наук СССР (1944). Один из основоположников эволюционной физиологии. После бракосочетания родители Леона из Тбилиси переехали в Нахичеван, где Абгар Орбели был назначен судьей. Леон родился в с. Дарачичаги, близ Нахичевана. В 1883 г. отца Леона перевели работать в Кутаиси, а 1889 г. – в Тбилиси. Л. Орбели прожил в Грузии 16 лет. С 1889 г. учился в Тбилисской III мужской гимназии. В 1904 г. окончил Военно-медицинскую академию в Петербурге. Был генерал-полковником военно-медицинской службы, ближайшим учеником и сотрудником И. Павлова, директором Физиологического института им. И. Павлова АН СССР (1936–1950) и Института эволюционной физиологии и патологии высшей нервной деятельности им.

Leon (Levon) and Joseph were brothers born to Abgar Orbeli, jurist of Armenian origin. As of 1889 onwards, A. Orbeli lived in Tbilisi, at 56 Bebutov Street, (present-day Lado Asatiani Str.). (Levon's and Joseph's mother was Varvara Argutinskaya–Dolgorukova, descendant of an old family of Armenian noblemen, who resided in Tbilisi. Levon's and Joseph's one uncle - Amazpas was a well-known dentist of those times and the other one - Davit had served as a physician at St. Michael's hospital for over 30 years.

Leon (Levon): Physiologist, Academician of the Academy of Sciences of the USSR (1935), Academy of Sciences of Armenia (1943) and Academy of Medical Sciences of the USSR (1944). He was one of the founders of evolutionary physiology. After their wedding, Levon's parents left Tbilisi and moved to Nakhichevan because Abgar Orbeli was appointed to the post of the judge in that town. Levon was born in the village of Darachichag, near Nakhichevan. In 1883 Levon's father was transferred to Kutaisi; in 1889, he was reassigned to Tbilisi. Levon Orbeli spent 16 years in Georgia. From 1889, he studied at the Tbilisi male classical school №3. In 1904 he graduated from the Petersburg Military-Medical Academy. L. Orbeli had the rank of the Colonel General. He was the employee and disciple of I. Pavlov. He filled the position of the Director of the Institute



დემია. იყო სამხედრო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი, ი. პავლოვის უახლოესი თანამშრომელი და მოწაფე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა (1936-1950) და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახ. ევოლუციური ფიზიოლოგიისა და უმაღლესი ნერვიული მოქმედების პათოლოგიის ინსტიტუტის (1939-1950) დირექტორი, 1942-1946 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1956 წელს ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ი. სეჩენოვის სახ. ევოლუციური ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

ლ. ორბელი იყო სსრკ სახელმწიფო პრემიის (1941), ი. პავლოვის სახ. პრემიის (1937) ლაურეატი, უცხოეთის მეცნიერებათა აკადემიებისა და საზოგადოებათა საპატიო წევრი.

ლ. ორბელი ლენინგრადში გარდაიცვალა.

იოსები – აღმოსავლეთმცოდნე, საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1935), სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მისი პირველი პრეზიდენტი (1943-1947), სსრკ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ირანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი. დაიბადა ქუთაისში. ბავშვობა და ყრმობა ქუთაისსა და თბილისში გაატარა. 1904 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზია და იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განხრით. პარალელურად გაიარა აღმოსავლური ენების სრული კურ-

И. Павлова АМН СССР (1939–1950), в 1942–1946 гг. вице-президентом АН СССР. В 1956 г. организовал и возглавил Институт эволюционной физиологии им. И. Сеченова АН СССР.

Л. Орбели был лауреатом Государственной премии СССР (1941), премии им. И. Павлова (1937), почетным членом зарубежных академий наук и обществ.

Скончался Л. Орбели в Ленинграде.

Иосиф – востоковед, общественный деятель. Академик Академии наук СССР (1935), академик Академии наук Армянской ССР и ее первый президент (1943–1947), заслуженный деятель наук СССР, почетный член Академии наук Ирана, профессор Тегеранского университета. Родился в Кутаиси. Детство и отрочество провел в Кутаиси и Тбилиси. В 1904 г. окончил Тбилисскую III мужскую гимназию и в том же году поступил в Петербургский университет на историко-филологический факультет с уклоном классической филологии. Параллельно прошел полный курс по восточным языкам (грузинский, армянский, иранские языки). Его учителями были Н. Марр, В. Бартольд, И. Джавахишвили, Н. Адонц и другие. Большая эрудиция, глубокие научные знания дали И. Орбели возможность, будучи студентом, стать сотрудником энциклопедии Брокгауза и Ефрона, где были опубликованы три статьи под его авторством: „Армянское искусство“ (1911), „Грузинское искусство“ (1913) и „Исламское искусство“ (1916). И. Орбели проявлял интерес к руставелологии, а творчество Руставели рассматривал в тесной связи с историей культуры восточных и кавказских народов. С 1920 г. работал в Государ-

of Physiology, named after I. Pavlov, which was affiliated with the Academy of Sciences of the USSR (1936–1950) and held the office of the Director of the Institute of Evolutionary Physiology and Pathology of Higher Nervous Activity, named after I. Pavlov, affiliated with the Academy of Medical Sciences of the USSR (1939-1950). In 1942–1946, L. Orbeli was the Vice President of the Academy of Sciences of the USSR. In 1956 he founded and headed the Institute of Evolutionary Physiology, named after I. Sechenov, affiliated with the Academy of Sciences of the USSR.

L. Orbeli was the laureate of the State Prize of the USSR (1941); he also owned the USSR State Prize named after I. Pavlov (1937). At the same time, he was the Honorary Member of various foreign Academies of Sciences and Scientific Organizations.

Levon Orbeli died in Leningrad.

Joseph: Orientalist and an outstanding public figure. He was the Academician of the Academy of Sciences of the USSR (1935), the Academician of the Academy of Sciences of Armenia and its first President (1943 – 1947), the Honorary Member of the Academy of Sciences of Iran and a Professor of the Tehran University. Born in Kutaisi he spent his childhood and youth in Kutaisi and Tbilisi. In 1904, he graduated from the Tbilisi male classical school №3 and in the same year, he entered the Historical-Philological Faculty of the Petersburg University, majoring in Classical Philology. At the same time, he finished the complete program of the courses of Oriental languages (Georgian, Armenian, Iranian languages). His tutors were N. Mari, V. Bertold, I. Javakhishvili, N. Adonts and others. During his student years, great erudition and good scholarly educa-



სი (ქართული, სომხური, ირანული). მისი მასწავლებლები იყვნენ ნ. მარი, ვ. ბარტოლდი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ადონცი და სხვ. ფართო ერუდიციამ, შესანიშნავმა სამეცნიერო მომზადებამ ი. ორბელს საშუალება მისცა, სტუდენტობის წლებშივე გამხდარიყო თანამშრომელი ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისა, რომელშიც გამოქვეყნდა მისი სამი სტატია: „სომხური ხელოვნება“ (1911), „ქართული ხელოვნება“ (1913) და „ისლამური ხელოვნება“ (1916). ი.ორბელი დაინტერესებული იყო რუსთველოლოგიით და რუსთაველის შემოქმედებას აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა. 1920 წლიდან ი. ორბელი მოღვაწეობდა სახელმწიფო ერმიტაჟში, სადაც შექმნა აღმოსავლეთის განყოფილება. 1934-1951 წლებში იყო ერმიტაჟის დირექტორი. 1955-1960 წლებში ი. ორბელი იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1956-1961 წლებში – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის დირექტორი. ი. ორბელი არჩეული იყო ლონდონის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად.

ი.ორბელი ლენინგრადში გარდაიცვალა. დაკრძალულია ბოგოსლოვსკის სასაფლაოზე.

ственном Эрмитаже, где создал отдел востоковедения. В 1934–1951 гг. был директором Эрмитажа, в 1955–1960 гг. деканом факультета востоковедения Ленинградского государственного университета, а в 1956–1961 гг. – заведующим Ленинградским отделением Института народов Азии АН СССР. И. Орбели был избран почетным членом Лондонского археологического общества.

И. Орбели скончался в Ленинграде. Похоронен на Богославском кладбище.

tion allowed him to cooperate with the Brockhaus and Efron Encyclopedia, where his 3 articles were published: *Armenian Art* (1911), *Georgian Art* (1913) and *Islamic Art* (1916). J. Orbeli was interested in Rustvelology; he viewed Sh. Rustaveli's poem *The Man In Panther's Skin*, as a creation, closely linked with the cultural history of Oriental and Caucasian peoples. From 1920 onwards, he served at the State Hermitage, where he founded a Department of Oriental Studies. In 1934 – 1951 he was the Director of the Hermitage. In 1955 – 1960 J. Orbeli filled the position of the Dean of the Faculty of Oriental Studies of the Leningrad University; in 1956 – 1961, he was the Director of the Leningrad Institute of Oriental Studies, affiliated to the Academy of Sciences of the USSR. He was elected an Honorary Member of the London Archeological Society.

Joseph Orbeli died in Leningrad. He was buried at the Bogoslovsky cemetery.



ფერდინანდ ფონ ოტენი
Фердинанд фон Оттен
Ferdinand von Otten

1850-1930

